ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო

პერიოდული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne

„IVERIA"

Directeur E. PATARIDZE. Rédacteur S. TCHIRAKADZÉ.

ივნისი 1967 № 13 JUIN 1967

შინაარსი:

ორჯონიკიძის ვექილის «სიბრძნე-სიცრუისა» . . . ელ. პატარიძე
ერთი დაუსაბუთებელი დებულებისა გამო . . . შ. კალანდ ძე
რუსულ-ჩინური ბაკჰანალია . . . . . ი. ს—ლი
კომუნისტური ბლოკის რღვევა . . . . . ხევ. ჭირაქაძე
გ. ყიფიანის ლექსები . . . . . მ. ქავთარაძე
დეკანოზი რაფიელ ინგილო-ივანიცკი.
ნიკო ნაკაშიძე.
საჯარო მოხსენება.
შოთა რუსთაველის დღე.

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.

LE PARTI NATIONAL-DEMOCRATE GEORGIEN

პარიზი — PARIS

1967

გურამ შარაძის
ბიბლიოთეკა

ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო
პერიოდული გამოცემა

ივნისი 1967 № 13 Juin 1967

ორჯონიკიძის ვეძილის
„სიბრძნე-სიცრუისა"

საბჭოთა რუსეთის უმაღლესი მთავრობის განკარგულებითა და ბრძანებით, საქართველოს მატეანედან სრულიად ამოგდებულია და დავიწყებულიც, ის მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ეპოქა, როდესაც ქართველმა ერმა 117 წლის მონობის შემდეგ, ეროვნული თავისუფლება მოიპოვა და დამოუკიდებელი სახელმწიფო აღიდგინა. ამ მეტადმნიშვნელოვანი ეპოქის მოგონება, პოლიტიკურ ცოდვათა და დანაშაულადაა მიჩნეული.

«სხვა თარიღების მოგონება კი, გულს აღავსებს სითბოთი, სიხარულით და სიამაყით. ასეთ განსაკუთრებით სასიხარულო თარიღებს შორის არის 1921 წლის 25 თებერვალი, დღე რომელმაც (თურმე) საქართველოს მოუტანა: თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ბედნიერება. ეს არის დღე, როცა ქართველმა ხალხმა თავისი უძველესი მეგობრის—დიდი რუსი ხალხის—დახმარებით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა».

ეს ბრძნული აზრები საქართველოს ს.ს.რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ-ნ გ. ძოწენიძეს ეკუთვნის. გვაპატიოს ერთხელ კიდევ რომ ვსარგებლობთ მისი აზრებით. ან და საბოდიშო რა გვაქვს, შოთა რუსთაველის ბრძნულ აზრებს, ხომ რვა საუკუნის შემდეგ ვიმეორებთ!

საბჭოთა საქართველოს მწერალს, რომელიც სურვილს გამოსთქვამს ან დავალებას მიიღებს, საქართველოს იმ «ხაიდუმლო ეპოქის» შესახებ რაიმე დასწეროს, მოათავსებენ საბჭოთა გამომცემლობის არქივში, წინ დაუწყობენ წინასწარმეტყველ—ლენინ-ტროცკ-სტალინ მახარაძე ორჯონიკიძისა და მათ «მოციქულთა წმიდა ნაწერებს», თანაც პრავდა-იზვესტია-კომუნისტ-ზარია ვოსტოკის თითქმის ნახევარი საუკუნის კომპლექტებს, წითელ სათვალეებს და რუსულ კალამსაც მისცემენ და გარკვეულ დავალებასაც. მწერალიც ვალდებუ-

ლია და იძულებულიც მისდამი მიცემული დავალება შეასრულოს. ასეთ მოვლენებთან არაერთხელ გვქონია საქმე, მათ დასასრული და ბოლო არ უჩანს. ჩვენც ვალდებულნი და იძულებულნი ვართ, მათ გამოსვლებს განმეორებითვე უპასუხოთ, რათა ბოლოსიტყვა ამ სიცრუისა და სიყალბის ავტორებს არ დარჩესთ.

დღეს ჩვენ ვდგავართ «მნათობის» მე-10 და მე-11 ნომრებში, ბ-ნ აკაკი ირემაძის ხელმოწერით გამოქვეყნებულ «ორი დიდი თარიღის წინ», რომლის მთავარი მოქმედი პირი რ. კ. პ. (ბ.) კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელი, სერგო ორჯონიკიძეა.

ამ ორი ერთი მეორისადმი მიმდევნო, სტატიის, ავტორ აკ. ირემაძეს დავალებული აქვს—საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოება და მისი ხელახლად საბჭოთა რუსეთის საზღვრებში მოქცევა, თვით ქართველი ხალხის, მისი საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებებისა და ბრძოლების—შედეგათ მოაჩვენოს მკითხველს; მაგრამ მის განკარგულებაში მყოფი, თვით კომუნისტური მასალებიც კი ვერ ფარავენ იმ დროინდელი მოვლენების სინამდვილეს და მწერალი მისადმი დავალებული თეზისადმი საწინააღმდეგო მიმართულებით მიყავს.

«1918 წელს, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ, მთელი კავკასია, საბჭოთა რესპუბლიკისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. შეწყდა მრავალერიანი კავკასიელი ხალხის ეკონომიური, პოლიტიკურ-კულტურული კავშირი რუს ხალხთან. სოციალიზმის მშენებლობის ინტერესები რუსეთში და კავკასიელი და რუსის ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა დარღვეული ურთიერთობის აღდგენას. ბოლშევიკების (რუსების) პარტია არასოდეს შერიგებია რუსეთისაგან ამიერ-კავკასიის მოწყვეტას. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები კვლავ შედიოდნენ რუსეთის კომუნისტური პარტიის შემადგენლობაში, როგორც მისი განუყოელი ნაწილი. პარტიის ცკ-ის ვ. ი. ლენინის მითითებითა და დირექტივებით ხელმძღვანელობდნენ კავკასიელი ბოლშევიკები» ...

ამ გამოპარული ოფიციალური დოკუმენტის შემდეგ, ზედმეტად მიგვაჩნია ვრცელი ახსნა განმარტება. აშკარადაა ნათქვამი, რომ რუსეთის ახალი მეთაურები, ძველი იმპერატორების პოლიტიკური ხაზის გამგრძელებელნი არიან, რუსეთის იმპერიის აღდგენისათვის მოღვაწეობენ და იბრძვიან, რომ ქართველი ქომუნისტების მეთაურებიც, რუსეთის ბოლშევიკური პარტიის წევრები, ძველი რუსეთის მთლიანობის აღდგენისათვის მოქმედებენ და იბრძვიან, ლენინის მეთაურობითა და ბრძანებით.

საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1921 წ. 4 თებერვალს ორსდე-

ბა კომიტეტი ჩრდილო-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ამ უფლებამოსილ ორგანოს მეთაურად უნიშნავენ ს. ორჯონიკიძეს, რომელიც მთელი კავკასიის ყველა ხალხის წარმომადგენელთა სახელით, მიმართავს საბჭოთა რუსეთის მეთაურებს, ძმური დახმარებისათვის და სთხოვს ჯარებით დახმარებას! საბჭოთა რუსეთის მეთაური ვ. ი. ლენინი უარს როგორ ეტყოდა მისი დავალებით გაგზავნილ აგენტს. იმავე წლის თებერვლის 6 ს ი. ჯუღაშვილი ინიშნება კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლიუციური საბჭოს წევრად. მოსკოვში იქმნება კომისია, რომელიც კავკასიელ კომუნისტებს აგროვებს და კავკასიაში გზავნის. იმავე წლის 8 აპრილს არსდება რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ც. კომიტეტთან კავკასიის ბიურო, ს. ორჯონიკიძის მეთაურობით. ამ ბიუროს დანიშნულებაა: კავკასიაში ბოლშევიკური ხელ ი. სუფლების დამყარება და გასაბჭოებულ კავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანება რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკასთან, ვითომდა ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობებში! (sic) ვ. ი. ლენინი ურჩევს ორჯონიკიძეს, საქართველოს განსაკუთრებული სიფრთხილით მოეპყროს!

ლენინი, როგორც ბ-ნი ირემაძე სწერს, მუდამ საქმის კურსში იყო და პირადათ წარმართავდა კავკასიელ ი ბოლშევიკების მთელ საქმიანობას.

ლენინი აკმაყოფილებს ორჯონიკიძის თხოვნას, დასახმარებლად გზავნის მე-XI არმიას, რომელიც, ვითომდა «განთავისუფლებულ» ბაქოში შედის 1920 წლის 30 აპრილ ს. მ. ლევანდოვსკის სარდლობით.

საბჭოთა ჯარების წინსვლა, რომ არ შეჩერდეს, მოსკოვის დამპყრობითი პოლიტიკის დღისწესრიგში საქართველოს დაპყრობის საკითხი სდგას.

ორჯონიკიძე და კიროვი, ლენინს დეპეშით აცნობებენ: «თქვენი ბრძანება ზუსტად იქნება შესრულებული: აჯანყების რაიონებში: სამხრეთ ოსეთის, დუშეთის მაზრის, ლაგო დეხის და აფხაზეთის საზღვრებთან ჩვენი (უნდა ვიგულისხმოთ მეXI არმია), მიახლოვებისას აჯანყება გარდაუვალია». თანაც სთხოვენ ლენინს: «დააწყვეთ ჩრდილო ოსეთიდან გორის მაზრას»-ო.

ეს ის ხანაა, როცა პოლონეთის მარეშალ პილსუდსკის ჯარები საბჭოთა რუსეთის საზღვრებში ღრმად შეიჭრა და კიევი დაიკავა. იმავე დროს დაიძრა ყირიმიდან ლენერალ ვრანგელის თეთრგვარდიელთა არმიაც და მაისის პირველ რიცხვებში ყუბანში ძლიერი დესანტი გადასხა.

ცხადია ამ მოვლენებმა საგონებელში ჩააგდო ლენინი ის დაუყონებლივ დეპეშას უგზავნის მის ემისარ ორ ჯონიკიძეს: «თქვენი მოქმედების გეგმა ეწინააღმდეგება ც. კ-ის დადგენი-

ლებას და სახიფათოა. კატეგორიულად მოვითხოვთ თქვენი დადგენილების აღსრულების შეჩერებას»-ო.

სტალინიც პირდაპირი მავთულით ელაპარაკება და აბრთხილებს ორჯონიკიძეს: «მხედველობაში მიიღე, რომ ც.კ-ის ეს მოთხოვნილება ნაკარნახევია საერთაშორისო მაშტაბის ახლანდელი ვითარებით»-ო.

პოლონეთის ჯარების გამარჯვებამ, თანაც ვრანგელის არმიის წინსვლამ, საგონებელში ჩააგდო წითელი მოსკოვის ლენინის მთავრობა. აზერბაიჯანის შემდეგ, საქართველოს სამხედრო მოქმედებით დაპყრობის იმედი დაუკარგა და ბრძოლის მეთოდიც შეაცვლევინა დროებით.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად, გრ. ურატაძის მეთაურობით, რამოდენიმე კვირის წინ თბილისიდან წარგზავნილი შეჩერებული იყო ჩრდილო-კავკასიაში, მოსკოვის ემისრების მიერ, ლენინ-სტალინის ნება-სურვილის თანახმად. იგივე ლენინი, საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებას, ახლა პირველხარისხოვან მნიშვნელობას აძლევს. რუსული კლასიკური პოლიტიკა ბოლშევიკებისათვისაც სავალდებულო აღმოჩნდა: ერთი და იმავე მიზნის მიღწევა, ხან სამხედრო ძალით, ხანაც მშვიდობიანი მოლაპარაკებით. ლენინმა,—ვითომ არ იცოდა, საქართველოს დელეგაციის დაგვიანების მიზეზი—დეპეშით ურატაძის მოსკოვისაკენ გამგზავრების დაგვიანების მიზეზი მოითხოვა. «მეორეჯერ გთხოვთ, სასწრაფოთ გვაცნობოთ, ურატაძის გამომგზავრების დაგვიანების შესახებ, თქვენი მოტივები»-ო.

ორჯონიკიძე, იძულებული იყო ურატაძის დელეგაციისათვის გზა გაეხსნა და მოსკოვისაკენ გაეგზავნა 1920 წლის მაისის 7 ს, რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულობა დადებულ და ხელმოწერილ იქმნა. სამწუხაროთ ჩვენი ერის საბედისწეროთ, ამ დიპლომატიურმა აქტმა ფაქტიურად ხელი შეუკრა საქართველოს მთავრობას და ხელი გაუხსნა საბჭოთა რუსეთის მთავრობას, საქართველოში კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციით.

ამ ხელშეკრულების მე 10 მუხლის ძალით, «საქართველოს მთავრობა ვალდებულია, გაანთავისუფლოს სასჯელისაგან და აგრეთვე, შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრატიული წესით დევნისაგან ყველა, რომლებიც იდევნებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის, ან კომუნისტური პარტიის სასარგებლო მოქმედებისათვის». იმავე დროს «აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და მოქმედების უფლება».

ამ ჩვენთვის საბედისწეროხელშეკრულებამ ხელი გაუხს-

ნა საბჭოთა რუსეთის მთავრობას, თავდაცვის უფლება აჰყარა და ხელი შეუკრა საქართველოს ხელისუფლებას: ხელშეკრულების ძალით საქართველოს სატუსაღოთა კარები გაიღო და განთავისუფლებულ იქმნა ათასზე მეტი ქართველი თუ რუსი კომუნისტი, რომელიც წინა ხანებში დატუსაღებული იყო რუსეთის სასარგებლოდ პოლიტიკურ-კრიმინალური ფარული მუშაობისათვის. რუსეთის კომუნისტურ პარტიას საშუალება და უფლება მიეცა, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს წინააღმდეგ მომქმედი პარტიული ორგანიზაციების ლეგალური არსებობისა და ყოველდღიური პრესისა და გამომცემლობის დაარსების, თანაც საჯარო კრებებისა.

ამ მოკლე დროის განმავლობაში მზადდება ჩვენი მეზობელი სომხეთის რესპუბლიკის დაპყრობა. «სომეხი ხალხის საუკუნოებრივი ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. სომეხი ხალხის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო»! ბრძანებს ბ ნი ირემაძე.

ჯერი საქართველოზედ მიდგა. რუსეთის მე XI არმია საქართველოს საზღვრებთან დგას და პოზიციებს ამზადებს. საქართველოში უამრავი ბოლშევიკური აგენტები შემოდიან ფარულად და აუარებელი იარაღი შემოაქვთ. გადამწყვეტი მომენტიც დადგა.

საქართველოს საზღვრებთან მდგარი და საომრად მოწზადებული მე-XI არმია ცეცხლის გახსნის ბრძანებას ელოდება. ორჯონიკიძისა და ლაზიანის მეთაურობით, ვითომდა, აჯანყება მზადდება ლორის «ნეიტრალურ ზონაში». ფარულად შეიქმნა ლორის სამხედრო რევკომი და «ჩეკა». ორჯონიკიძე-ლაზიანმა მიმართეს რ. კ. პარტიის ბიუროს და სთხოვეს მიეშველებინა მათთვის წითელი არმიის ნაწილები. 11 თებერვალს ლორში ვითომდა აჯანყება დაიწყო, და თითქოს აჯანყების ცეცხლში გაეხვია სხვა ახლომდებარე რაიონებიც. 16 თებერვალს ბორჩალოში ფარულად ქმნიან საქართველოს რევკომს: ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის, მ. ცხაკაიას, შ. ელიავას, ა. გეგეჭკორის, ბ. კვირკველიას და ნაზარეტიანის შემადგენლობით. უკვე მომქმედ მე-XI არმიას მიეცა ბრძანება შეტევაზე გადასულიყო საქართველოს ჯარების წინააღმდეგ. შემოტევა დაიწყო, საქართველოსადმი ოფიციალურად ომის გამოუცხადებლად. ყველა ეს ხელოვნურად მომზადებული «მიზანსცენა» საჭირო იყო იმისათვის, რომ თავისუფალი მსოფლიო შეცდომაში შეეყვანათ და მოეტყვილებინათ.

დასავლეთით მდებარე შავიზღვის ჩრდილო-ნაპირებიდან აღმოსავლეთით მდებარე კასპიის ზღვის ნაპირებამდე, წინასწარ განლაგებული იყო რუსული ჯარის ფეხოსანთა, ცხენოსანთა თუ საარტილერიო ნაწილები, რომელნიც ბრძანებას ელოდნენ, რომ საქართველოს საზღვრები გადმოელახათ. მთელი ამ ხაზის გასწვრივ წინასწარ გადმოსხმული იყო რუ-

სეთიდან დივერსანტებისა და პროპაგანდისტთა ჯგუფები, რომელთა დანიშნულება იყო საქართველოს ხელისუფლებისადმი მტრული განწყობილების გამოწვევა, ამ საზღვრებზე მობინადრე უცხო ტომებში.

იმავე დროს საბჭოთა რუსეთის მთავრობა ხელშეკრულებასა დებს ოსმალეთის მთავრობასთან, რომელსაც წინასწარ უთმობს სამაჰმადიანო საქართველოს—აჭარა-ქობულეთის ოლქებსა და საოლქო ქალაქ ბათუმს, იმ პირობით, რომ ოსმალეთის ჯარები ზურგიდან თავს დაესხმიან რუსეთის წითელ ჯარებთან ომში ჩაბმულ საქართველოს.

ამგვარად ისტორიულ მტერთა მიერ ალყაშემორტყმული საქართველო ომის ცეცხლში ეხვევა. სამხედრო მოქმედებათა მთავარი ასპარეზი თბილისის ახლო მიდამოებია. სოღაალუღი და კოჯორი, სადაც ქართული ჯარის ნაწილები სასტიკათ იბრძვიან და დიდის მსხვერპლის გაღებით იცავენ სამშობლოს. სამხედრო მოქმედება სწარმოებს დუშეთში, სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმის, თან აფხაზეთის საზღვრებზე ჩრდილოეთიდან თავდამსხმელ რუსის ჯარების წინააღმდეგ. ფიზიკურ ძალთა ამ უსწორო ბრძოლაში ჩაბმული საქართველოს მხედრობა თავდადებით იბრძვის, ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, დედა ქალაქის დაცემის შემდეგაც ერთი თვის განმავლობაში, ყოველის მხრიდან ცეცხლის რკალ შემორტყმული. ებრძვის რუსეთის ასჯერ მეტ წითელ არმიას და ამავე დროს ზურგში მოღალატურად თავდამსხმელ ოსმალეთის ჯარებს, რომელიც ბათუმისა და სამაჰმადიანო საქართველოს დასაპყრობათ, მოსკოვის თანხმობით, სამხრეთ საზღვრებში ღრმად შემოიჭრა. ქართულ მალაშქარმა საქართველო ვერ იხსნა რუსეთის მიერ დაპყრობისაგან, მაგრამ ბათუმი და აჭარა-ქობულეთის ოლქი კი იხსნა ოსმალეთის მიერ მზაკვრულად წატაცებისაგან.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა და ოფიციალური წრეები, განგებ მალავენ ამ ისტორიული ომის სინამდვილეს, და ცდილობენ ისტორიას მიაღებინონ მათ მიერ შეთხზული ზღაპარი: თითქოს საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობა, თვით ქართველი ხალხი, მისი ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ აჯანყდა, გაიმარჯვა და შეუერთდა რუსეთს. მათთვის ეს სასარგებლოა და მეტად ხელსაყრელიც.

გაუგებარია და მეტად სამწუხაროც, როცა ქართველი მოდგმის ქართველი კომუნისტების ახალი თაობის წარმომადგენელნიც,—რომელთაც არავითარი მონაწილეობა მიუღიათ რუსების მხარეზედ, მათი სამშობლოისა და ერის დაპყრობის პროცესში,—დამპყრობელი რუსის პოლიტიკის კალმითვე სწერენ, იმ დროინდელი ისტორიული მოვლენების შესახებ. ნუ თუ ვერ ამჩნევენ დაწერის შემდეგ მაინც, რომ მათ მიერ აღნუსხული ფაქტები და მოვლენები არა თუ ეწინააღმდეგ-

ბიან, არამედ მთლიანად არღვევენ და უარყოფენ იმ თეზას, რომლის დასაბუთებისათვისაც მათ რუსეთის ხელისუფლება ავალებს, კალამი ხელში აიღონ.

ჩვენ არ ვიცით, «მნათობში» გამოქვეყნებული ამ სტატიების ავტორი ბ-ნი ირემაძე რა ხნისა და რომელი თაობის კაცია, იმ ძველი თაობისა და ბოლშევიკური დასის, რომელმაც თავისუფალი საქართველო საბჭოთა რუსეთს დააპყრობინა, თუ შემდეგი რომელიმე ახალი თაობის. ორივე შემთხვევაში კი აშკარად საბრალო და საცოდავ როლში გამოყავთ. ეროვნულ და პირად-თავისუფლება აყრილ ქართველს, ხელში მისცემენ, რუსული ფაბრიკაციის, რუსული იდეებით გაჟღენთილ კალამს. ეს უკანასკნელია, ნაწერის აზრისათვისა და შინაარსისათვის პასუხისმგებელი, თვით მწერალი კი ნაწერის ტექნიკური შემსრულებელია, მაგრამ ვაი იმას თუ ამ ფუნქციას გადააჭარბა, და კალამს თავისი აზრი და შეხედულება დააწერია.

ჩვენც ამიტომ ვართ ლმობიერნი, ამდაგვარი კალმის მონად ქცეულ ქართველი მწერლების მიმართ: ვერიდებით მათ გალახვასა და შეურაცყოფას.

ელ. პატარიძე.

ერთი დაუსაბუთებელი დებულებისა გამო

ჩვენ სიამოვნებით ვკითხულობთ საბჭოთა საქართველოს თვითეულ გამოცემას—გაზეთია ის, ყოველ კვირეული, ყოველ თვიური თუ სხვა... რამდენი ძველი თუ ახალი ნაცნობების სახელები! ჩვენ ეს გვახარებს, გვაღელვებს. ამ დენი ხნის განშორების შემდეგ, თითქოს ერთმანეთს შევხვდით, ერთმანეთი მოვიკითხეთ, ძველი ამბები გავიხსენეთ—ჩვენი სიყრმე, უნივერსიტეტი, ჩვენი საყვარელი პროფესორები და ყველაფერი ის, რაც გულს გვიდაღავდა...

ვკითხულობთ მათ წერილებს და სიბრალულის გრძნობა იბადება მათ მიმართ—გრძნობა სევდისა და ნაღველის მომგვრელი. საერთო შთაბეჭდილება—მოსაწყენი, უფერული, მოსაბეზრებელი ერთფეროვნება, ტრაფარეტები, გაცვეთილი აზრების გადამღერება: ერთი სიტყვით ნამდვილი პროვინცია. ნურავინ იფიქრებს უნიჭობას, ან გაუნათლებობას ვწამებდეთ ვინმეს, პირიქით, უბედურებაც იმაშია—ყველა ესენი ნიჭით დაყურსულნი არიან და ზოგიერთი ევროპიულად განათლებულიც. ეს მწარე სიტყვები მიმართულია არა მათდამი, არამედ იმ უნიჭო მიზანსცენებისა და დადგმებისადმი, რომელშიაც ისინი, საკუთარი სახის სრული დაკარგვით, იძულებული არიან მონაწილეობა მიიღონ.

საბჭოთა ხელისუფლება არა მხოლოდ ტოტალიტარულია, ის უტილიტარულიც არის. საბჭოთა კავშირის გმირის, შრომის გმირის, ლაურეატის, მეცნიერების, მხატვრობის, მიცვალებულის თუ ახალდაბადებული—პროპაგანდის მიზნით ყველას გამოყენება დასაშვებია. არ აძლევენ მოსვენებას თვით კომუნიზმისადმი შეურიგებელ მიცვალებულებსაც კი. მართლაც, რისი მოწამენი არ ვიყავით ამ 46 წლის მანძილზე. ჩვენ სახელოვან მწერლებს—ბარათაშვილს, ყაზბეგს, ვაჟას, აკაკის და სხვებს იმიტომ არ ჰქონდათ კომუნისტური პარტიის წევრობის წიგნაკები, რომ დროზე დაბადება ვერ განსაკვრიტეს. თვით ილია ჭავჭავაძე პარტიულ მეცნიერთა და ლიტერატურის მცოდნეთათვის, ფილიპე მახარაძის დაძმათა მისთა თანამებრძოლი იქნებოდა 15 წელიწადი კიდევ რომ ეცოცხლა.

მაგრამ ესეც არ იკმარეს, თვით სულმნათ შოთასაც კი მიწვდენ და ქართული პოეზიის ფუძემდებელი, ქართული ენის მაღალი კანონმდებელი და მისი ფილოსოფიური შეგონებანი კომუნიზმის პროპაგანდის სამსახურში ჩააყენეს. და გაიმართა ნამდვილი მარულა—თუ ვინ უფრო მეტი სიღრმით და სინატიფით დაამტკიცებდა—, რომ რუსთაველის იდეები... თავისი პროგრესიულობით «დიად საბჭოთა ეპოქას ეხმაურება». აქვე გულახდილად უნდა განვაცხადოთ, რომ ამ შეჯიბრებაში პირველობა აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძეს ერგო.

გასული წლის ჟურნალ «კომუნისტის» მეშვიდე ნომერში მოთავსებულია პატივცემულ აკადემიკოსის წერილი:—«რუსთაველი და თანამედროვეობა». ამ წერილს არ აკლია წყობა და კომპოზიცია, სიბრძნე და ლოგიკა, ვეფხისტყაოსნის ცოდნა, აკადემიური სტილი. მიუხედავად ამისა, «რუსთაველი და თანამედროვეობა» ღარიბულ და საცოდავ შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი იაფ-ფასიანი პროპაგანდისტული იერით. ავტორი წერს:

«არც ერთი საუკუნე ისე ახლოს არ მდგარა პოეტის შემოქმედებასთან, როგორც ჩვენი ეპოქა, რომელმაც «ვეფხისტყაოსნის» უზადო მხატვრული ოსტატობა, პროგრესიული მსოფლმხედველობის ჩათვლით, ორგანიულად მოირგო თავისი დიდების მხრებზე. წარსულის კულტურიდან ყოველივე საუკეთესოს ღირსეულმა მემკვიდრემ და განვითარებულმა—კომუნიზმის ეპოქამ ნამდვილად შეისისხლხორცა რუსთაველის გენია. რუსთაველი გვევლინება ჩვენს მებრძოლ თანამედროვეთ. ადამიანი გმირულად უნდა იტანდეს მოზღვავებულ უბედურებას და რუსთაველის ეს აზრი ამქამადაც გმირობისაკენ უხმობს ქართველი ერის სამაგალითო შვილებს. რუსთაველის გმირებს ყოველთვის გამოარჩევთ მოვალეობის უმაღლესი შეგნებით. ეს დიდი ღირსება «ვეფხისტყაოსნის» გმირებისა ჩვენი თანამედროვეობისათვის სავსებით გასაგე-

ბით გასაგებია, მისაღები და შთამაგონებელი. ადამიანურობისა და ადამიანის პიროვნების ღირსების დაცვა განფენილია მთელს პოემაში, როგორც ერთ-ერთი ძირითადი იდეური, მაგისტრალური ხაზი. რუსთაველისათვის ადამიანის პიროვნება იმდენად დიდი ფენომენია, რომ იგი განწირულად არ მიაჩნია. განწირული შეიძლება მხოლოდ უმნიშვნელო იყოს, ხოლო დიდი და ღირებული ყოველთვის უკვდავია».

ბ-ნი აკადემიკოსი იქამდეც მიდის, რომ შოთა საბჭოთა ჰუმანიზმის მედაფეთ გამოყავს. მაგრამ ყველაზე უმთავრესია და სუპერსენსაციური, როდესაც აკადემიკოსი ჯიბლაძე აცხადებს:

«იმდენად სავსეა მოწინავე ზოგადკაცობრიული აზრებით «ვეფხისტყაოსანი», რომ ზოგიერთ მკვლევარს შეუძლებლად მიაჩნდა რუსთაველი მე-12 საუკუნის მოღვაწედ გამოეცხადებინა. მაგრამ ისინი ცდებოდენ, როდესაც არ ითვალისწინებდენ, რომ საქმე ჰქონდათ ისეთ გენიოსთან, რომელსაც საუკუნეების განჯვრეტა შეუძლია».

ვის რაში ესაჭიროება ასეთი «გაპრანჭული», გაზვიადებული შეხედულება შოთა რუსთაველზე? რა საშინლად უგემურია და მოსაწყენი ამდენი გაცვეთილი «ნებების», გადამღერებული ფრაზვების და სიტყვების ღვართქაფი? ნუ თუ კარგი და ლამაზი სამოსელი ათასგვარი სიცრუისა და სიყალბის თავშესაფარად უნდა გავხადოთ? ჭირსა და ეშმაკს წაუღია ყოველგვარი მაღალკვალიფიციურობის ეპიტეტი «საუკუნეების განჯვრეტაზე», რომელსაც გადამლაშებამდე და ყოვლად ნეგატიურ დასკვნებამდე მივყავართ. ხელოვნების და ლიტერატურის ისტორიის კარგ მცოდნეს—აკადემიკოსს ჯიბლაძეს უნდა მოეხსენებოდეს, რომ არცერთ დროსა და არცერთ ერში, არც წრეგადასულ ქება დიდებას აუშენებია და არც ჭკუანაღრძობ «მოაზროვნეთ» ქირდვას და ლანძღვა-გინებას დაუქცევია ვინმე. ნუ თუ ქართველ აკადემიკოსს შეშვენის რუსთაველის გმირებსა და ეგრე-წოდებულ საბჭოთა გმირებს შორის რაიმე ანალოგიის გატარება? რა არის ეს? მცდარ შეხედულებათა ნაბარტყევი, თუ საბჭოთა რეჟიმის პატარ-პატარა კერპების აპოლოგია? ორდენები და მენდლები კომუნისტურ სამოთხეში ტონობით მზადდება, ორდენით დაჯილდოებულთა სურათებით აჭრელებულია გაზეთები. მათ ცალკე ეგზ»ვნებათ «გრამოტა» «საბჭოთა გმირის» დასახელებით, რაც რუსული «გეროის» მონური მიბაძვაა. ქართულად გმირს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს: გმირია ტარიელი, ავთანდილი, ... თამბაქოს და ბოსტნის, საქონლის თავლის გმირიც? ეს ხომ სათვალმაქცო კომედიაა—ხალხის ეაცინვაა და აბუჩად აგდება.

«ადამიანურობის დაცვა განფენილია მთელს პოემაში, რომ რუსთაველისათვის ადამიანის პიროვნება დიდი ფენო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენია». მოგვითხრობს ბ-ნი აკადემიკოსი და დაასკვნის: «განა ჩვენც ასევე არ ვფიქრობთ? განა ჩვენ რუსთაველთან ერთად ჭეშმარიტად არ მიგვაჩნია მისი ეს ბრძნული შეხედულება?» დიახაც არ მიგაჩნიათ და ტყუილად ეპოტინებით ჩვენს სახელოვან წინაპარს. კომუნისტურ სახელმწიფოში თანდათან გადის ხმარებიდან მოქალაქე, პიროვნება და მათ ადგილს «საბჭოთა ადამიანი»-ს ცნება იკავებს. ეს არის ადამიანი, სახელმწიფოებრივ მანქანის ნაწილად გადაქცეული—ყოველი ცოცხალი არსი საჭიროებს თავისუფლების ერთგვარ «რაოდენობას». ხოლო ადამიანური ცხოვრება ხომ გაცილებით მეტს თავისუფლებას მოითხოვს, ვიდრე პირუტყვისა და მცენარის. საბჭოთა მანქანაში მომწყვდეული ეს ცოცხალი ხრახნები მოკლებული არიან ამ ადამიანურ ცხოვრებისათვის აუცილებელ მინიმალურ თავისუფლებასაც კი. არ არსებობს ცხოვრების არც ერთი კუნჭული, სადაც ეს ხრახნი თავისუფლად გრძნობდეს თავს. მას მარად სხვები ატრიალებენ, სხვები ამოძრავებენ.

ხალხთა და პიროვნებათა თავისუფლება ასე გარისხული და პატივაყრილი არასოდეს არ ხილულა ისტორიაში, როგორც ეს საბჭოთა კავშირშია. მაგრამ ამ საბრალო ხრახნების—სრული უფლებააყრილობითაც არ კმაყოფილ დება აკადემიკოსი ჯიბლაძე და რუსთაველის აფორიზმით მიმართავს მათ: «წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა» ო. აკადემიკოსი ასე განმარტავს ამ აფორიზმს: «რუსთაველი ამ ბრძნულ აფორიზმში ადეკვატურათ ვლინდება ევროპის გმირული შემართება უხსოვარ დროდან ჩვენს დღეებამდე და მძლავრად უტოკებს გულს ქართველ კაცს თავდადების და მსხვერპლის გაღებისთვის»-ო. გასაგებ ენაზე ეს ნიშნავს, რომ ქართველი ზვარაკათ უნდა შეეწიროს და თავისი პირადი ცხოვრება მსხვერპლათ უნდა მიუტანოს უსაზღვროდ შორეულს, არ არსებულს, უცნობ რაღაცას, რომელიც ამ მსხვერპლის ღირსი შეიძლება არც იყოს. უკანასკნელი 46 წლის განმავლობაში საქართველოში მრავალ უკუღმართობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ის კორიანტელი და ქარ-ბუქი, რომელიც საბჭოთა საქართველოს მესვეურებმა დააყენეს შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავთან დაკავშირებით მისთვის უცნობი ხილია, თანაც ეს ხილი ცუდი და უგემურია და მის დამწიფებას და გაერცელებას არ უნდა შეუწყოთ ხელი. შევიბრალოთ სულმნათი შოთა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ამას გვავალებს მისი პატივისცემა.

ხომ ოსტატურად შეკრიჭა, გასხლა და შეალამაზა აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ საბჭოთა აბურდული ცხოვრება «ვეფხისტყაოსნის» ზოგადკაცობრიული იდეებით, ხომ ის ასე მოხიბლულია შოთას აფორისტული მეტყველებით, მიუხედავათ ამისა თანამედროვე საქართველოში შეუძლებელია

დღის სინათლე იხილოს ნაწარმოებმა, რომელშიც მიმოფენილი იქნება შოთას მარადიული იდეები, მის ავტორს ბრალდებულის სკამზე დასვამდენ და აქედან დაიწყებოდა ტრაგი-კომედია....

— თემა მიუღებელია: პოემაში ნაკლებად გყავთ მოხსენებული პარტია და ხალხი.

— დამახინჯებულია პარტიის ბელადის როლი.

— თქვენ ბრძანებთ: «თუ თავი შენი შენ გახლავს ღარიბად არ იხსენები».

— ეს პარტიის პროგრამატივებში შეჭრაა, რა საჭიროა საკუთარი აზრის ქონება—ეს ხომ ზედმეტი ტვირთია. ბრძენი და საყვარელი პარტია ზრუნავს «გაანთავისუფლოს» ადამიანი ამ მძიმე ტვირთისაგან.

— თქვენ ბრძანებთ: «თხა და მგელი ერთად ძოვდეს»-ო—ეს ხომ ყოვლად მიუღებელია, კლასთა სოლიდაროობის თეორიაა—თეორია კლასთა ბრძოლის უარყოფისა?

თქვენ ბრძანებთ:—«იგი მიენდოს სოფელსა ვინცა თავისა მტერია»,—ეს ინდივიდუალიზმია, პირწავარდნილი ნიცშეანიზმი—თამამ, შეუდრეკელ, უყიყმანო და ყოველგვარ საშუალებით მიზნის მიმდწევ პიროვნებათა ხოტბის შესხმაა. ასეთი ნაწარმოებით შორს ვერ წავალთ! ვერ აკმაყოფილებს სოციალისტური სახელმწიფოს მოთხოვნილებას! მთავრობამ ტკბილი და საამური ცხოვრება შეგიქმნათ, თქვენ კი დაუღალავი შრომით უნდა დააფასოთ და სხვ...

სპეციალურად მოსკოვიდან მოვლინებული პროკურორის სიტყვა დამსწრეთ მალამოდ მოედებოდა. პროკურორი «დაამტკიცებდა», რომ ყოველგვარი უბედურება, რაც ხალხს დაატყდა თავს! სიღატაკე, შიმშილი და სიკვდილი, სულ ამ კალმოსნების ბრალია; ესენია კომუნიზმის გაშლილ მშენებლობას ხელს რომ უშლიან. ასე დაასრულებდა პროკურორი თავის სიტყვას, რასაც მჭუხარე ტაშის ოვაციებში გადასვლა მოყვებოდა. ასეთია სინამდვილე, ხოლო რასაც ბ-ნი აკადემიკოსი მოგვითხრობს, ის «ანეგდოტებზე» აგებული უგემური ფალსიფიკაციაა, რომელიც გაუგონარად აყალბებს და ჩრდილს აყენებს «ვეფხისტყაოსანს».

დიახ, «ვეფხისტყაოსანი» გულს უტოკებს ქართველ კაცს, დიახ ის ეხმაურება მსოფლიო ლიტერატურის კორიფეებს და არა საბჭოთა რეჟიმის. დიახ, ქართველს ხიბლავს «ვეფხისტყაოსნის» აფორისტული მეტყველების დაწურული სიბრძნე, ამ მეტყველების სილბო და სიმტკიცე. ხიბლავს «ვეფხისტყაოსნის» ხალისიანი რწმენა ჯანმაგარი ქართველი ერისადმი. ის მას ამშვენებს, აღელვებს, ასწავლის, აოცებს, არიგებს და აზავებს ბუნებასთან და საწუთროის უცნაურობასთან.

თაობები წავიდნენ, სხვადასხვა იყო დროის მანძილზე გაშლილი კულტურული დონე და გემოვნებათა სიფაქიზე, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ მიუხედავად ამ ცვალებადობისა მარად და დამოუკიდებლად დარჩა «ვეფხისტყაოსანის» სიმშვენიერე, ჭეშმარიტება და სიკეთე, რომელიც საქართველოს ამპარტავან ცადატყორცნილ მთათა კირჩხიბებიდან გადმოშდგარი მზრუნველობს და დარაჯობს ქართულ სულს და უდიდეს სიბრძნეს უმარტივესი სიტყვებით ამცნობს და ანიშნებს ჩვენს სამშობლოს შვილთ: გლეხია ის თუ მუშა, მწერალია ის თუ მეცნიერი.

შალვა კალანდამე.

რუსულ-ჩინური ბაკჭანალია

როგორც მოსალოდნელი იყო, უკვე დადგა ის დრო, როდესაც კომუნისტური ოჯახები და სამფლობელოები იმ ზომამდე აღმოჩნდა მოშლილი, რომ ძაღლი პატრონს ველარა სცნობს. გაჰქრა «კაჟივით გამძლე და უმაგალითო სოლიდარობა» და ერთი მეორისათვის თავდადება, რომლითაც ყურები გაუჭედეს, თვალები დაუბნელეს და შეხების გრძნობანი მოუჩლუნგეს მთელს კაცობრიობას და საკუთარ თავებსაც რუს კომუნისტებმა. სიმფონიური ნოტები უცბად კაკაფონიებში გადაგვარდა.

მთელი მათი იდეიური და ჰუმანიური საქმიანობა ცარიელი ტრაბახი, სიცრუე, სიყალბე და ბლეფი გამოდგა. გაჭირვებისა და მძიმე კრიზისების პერიოდებში გვერდით ამოდგომისა და ერთის ფრონტით მტრის წინაშე წარდგომის ნაცვლად, კომუნისტები ერთი მეორეს დაერივნენ. პირველი წიხლი ერთმანეთს წაჰკრეს და შეუდგნენ მდგომარეობის საკუთარი ნაციონალური მიზნებისათვის გამოყენებას.

ასეთი ვითარება მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე დამკვიდრდა კომუნისტურ სამყაროებში. რუსეთმა პირველმა მისცა მაგალითი და ზურგი უქცია საერთაშორისო პროლეტარიატსაც და სოციალისტურ ერთსულოვნობას და მთლიან ფრონტსაც. საკუთარი იმპერიის გაძლიერებისა და ყველას კისერზე წამოჯდომის მიზნით, მან «საკუთარი» შინაური რესპუბლიკების კომუნისტური კადრების უმოწყალო გახრესის შემდეგ, ჯერ ტიტო აცვა ჯვარს და შემდეგ ჩინეთალბანეთზე გაიწია, მაგრამ, ვინაიდან სატელიტებმა თავი წამოჰყვეს, სისხლიც ბლომად გაიღეს და ოპოზიციური განწყობილება ამხილეს, რუსული კომუნიზმი იძულებული გახდა გეზი შეეცვალა და ჩინური ყვითელი საფრთხის საბუთად მოყვანით მორიგებოდა აჯანყებულ ვასალებს.

როგორც კი ჰორიზონტზე გამოჩნდა ნიშნები ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებისა, რუსეთმა მყისვე შეაჩერა სამხედრო, ფინანსიურ-ეკონომიური, ინდუსტრიული და პოლიტიკურ-იდეოლოგიური დახმარება ჩინეთისაც და სატელი-

ტებისაც. ჩინეთიდან მან უკან გაიწვია ათასობით იქ მივლინებული ინსტრუქტორები, სპეცები და დასტოვა მხოლოდ ის ელემენტები, რომელთა ერთად ერთი ამოცანა იყო დივერსია, შპიონაჟ-კონტრ-შპიონაჟის ორგანიზაციების მოწყობა და სიგრძე-სიგანით ჩინეთში მიმოფანტვა.

ამავე დროს მათ საგრძნობლად შეამსუბუქეს სატელიტური მუხრუჭი, დაიწყეს ევროპა-ამერიკასთან მშვიდობიან თანაარსებობაზე ლაყბობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც კუბაში და ჰავანაში სასტიკი დამარცხება იგემეს. სადღაც გაჰქრა ცივი ომიც და მისი ადგილი სამეზობლო კონტაქტის დასაჭერად დაიკავა დასავლეთთან ლიბერალურმა პოზიციებმა.

დაბეჯითებით ვერ ითქმის, მიაღწიეს მათ ამ მიზანს თუ არა, რადგან თვით დასავლეთიც დაიბნა და ვერ ერკვევა, არის ეს დროს მოსაგები მანევრი თუ ჭეშმარიტი წადილი თანამშრომლობისა?

სამაგიეროდ, ვინც იგემა რუსული სუსხი და ტრადიციონალური მაკიაველიზმი და იყნოსა რუსული იუხტების მყრალი სუნი, ე. ი. მისმა ახლო მეზობლებმა ან მასში მოყოლილმა დამონებულმა ერებმა და სახელმწიფოებმა, მისთვის ნათელია, რომ ის, რაც დღეს საბჭოთა ოჯახში ხდება, არის არა მარტო სისუსტის ილუსტრაცია, არამედ სულმოსათქმელი პოზის აღება იმ მომენტამდე, სანამ მას ჩინური საფრთხეც ასცდებოდეს და ამავე დროს რამოდენიმე ფრონტებზე ბრძოლის წარმოება.

აიცდენენ კი რუსები ამ საფრთხეს? არამგონია, რადგან ჩინეთს შიმშილით სული ძვრება და 750 მილიონი მოსახლეობის გამოკვება არ მოხერხდება არც ინდოეთის დაპყრობით, არც მთელი შორეული აღმოსავლეთის ხაკუთარ ორბიტაში მოქცევით და მით უფრო წყნარ ოკეანეში შესვლით. პრობლემა პრობლემად რჩება იმ ხანამდე, სანამ მონღოლური რასა კვლავ ციმბირის თვალუწვდენელ და დაუმუშავებელ მიწების მფლობელობაში არ შევა.

ამ რასის მთავარი და ღირებული ელემენტი დღესდღეობით ჩინეთია და ვერავინ იტყვის გადაჭრით, რომ კომუნისტური რეჟიმის და მარქსიზმის რეალური და ჭეშმარიტი ბელადი რუსეთია და არა ჩინეთი.

მარქსიზმი და კომუნიზმი ხომ ერთისა და მეორესთვისაც ის სტრატეგიული იარაღია, რომლითაც მთელ ქვეყანას თვალები უნდა აეხვიოს.

კომუნიზმი თუ მაგარი ხელსაწყო აღმოჩნდა რუსული იმპერიის აღსადგენად, რატომ ცუდი უნდა იყოს ის ჩინური საიმპერიო პრეტენზიებისა და ამბიციების გასანაღდებლად? საქმე მხოლოდ ის არის, რომ რაც მოხერხდა 1917 წელს, შესაძლებელია თუ არა მეოცე საუკუნის დასასრულს?

ჯერ ჯერობით კი ერთი რამ არის ნათელი: საერთაშორისო კომუნიზმისა და სოციალიზმის მონოპოლია და ბელადობა რუსეთს უკვე ხელიდან გაუსხლტა და ჩინეთი სასტიკ კონკურენტად წამოეყუდა მას თვალწინ.

მთელი მსოფლიო კომუნიზმი ორ (თუ მეტიც არა) ბანაკად გაიყო. ის ან არის ჩინოფილური, ან რუსოფილური, ან კიდევ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნით იმდენად ნეიტრალური, რომ თავს აღარ იჩენს და წმინდა ნაციონალურ პლატფორმაზე გადასვლით ცდილობს თავი გადაირჩინოს.

ადრე თუ გვიან, ამა თუ იმ სახით, ეს უნდა მომხდარიყო და ლოღიკის კანონის ძალით, საკითხი ადვილად არ გადაიჭრება, ვიდრე შორეულ-აღმოსავლეთს სისხლის ნიაღვრები არ დაედინება. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ ჩინურ-რუსულ საზღვრებზე არც ისეთი სიწყნარეა დამყარებული, როგორც ბევრს ეჩვენება.

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, 1960—1965 წლ. მანძილზე რუსეთმა ხუთი ათასზედ მეტი ინცინდენტი წარმოშვა რუსულ-ჩინურ საზღვრებზე, ხოლო რუსული ოფიციალური წყაროების მიხედვით, მარტოოდენ 1962 წლის განმავლობაში ჩინეთმა ხუთიათასზე მეტჯერ შელახა საბჭოთა ტერიტორია, ჩინეთს რომ 10.400 კილომეტრზე ესაზღვრება.

სხვა ზომებთან ერთად (საზღვაო, საჰაერო, ატომიური ბაზების გაშენებით ხაბაროვსკში, ოხოტსკში, პრიმორიეში და ჩინეთთან ახლო მდებარე პუნქტებში) რუსებმა მარტო გერმანიიდან გადაიყვანა ჩინეთისაკენ ექვსი ჯავშნოსანი დივიზია და თვით საბჭოებიდან მიაყენა ჩინეთს 17 ქვეითი დივიზია. პატარა სოფელი ნახბოდკაკი, სადაც 3 წლის წინეთ ოთხასი მცხოვრები იყო, ამჟამად ოთხმოცდაათიათას (90 000) მცხოვრებს ითვლის, რომელთა მთავარი კონტინგენტი (60.000 სული) პოლიტიკურ ტყვეებს შეიცავს. ამას ზედ ერთვის რამოდენიმე ათასი მძიმე თუ მსუბუქი ყუმბარამფრქვეველი, ორასამდე წყალქვეშა გემი და უცვლელად იქ მყოფი ასათიათასი (110.000) საზღვრის მეთვალყურე მხედარი.

რა თქმა უნდა ყველა ესენი ულტრა-მოდერნულის მასალით არის შეიარაღებული და ყოველ წუთში მზად მყოფი როგორც თავდასაცავად, ისე იერიშზე გადასასვლელად. ომის რეალურად დაწყებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ საერთაშორისო კომუნიზმის არა რუსული სექტორი ჯერ დასტურს არ იძლევა და მაღალ საფეხურზე ყრილობასაც კი გაურბის და დასავლეთი ძარღვ-დაჭიმულია და რუსებს ისინი ვერ დაურწმუნებია, რომ ევროპა-ამერიკას მისგან საფრთხე

არ მოელის. ხელ-გულ დაკრეფილი არც ჩინეთია, მასაც დიდძალი სამხედრო ეფექტივი ჰყავს დაგროვილი მდინარე ამურის (18 დივიზია) და გარეშე მონღოლიის (6 დივიზია) მოსაზღვრე ტერიტორიებზე.

მდგომარეობას ამჟამად მეტად ართულებს ის გარემოება, რომ დასავლეთმა არ იცის თუ რა ხდება ჩინეთში. არის მისი კულტურული რევოლუცია პირწმინდა ანარქია და ახალი თაობის გაბრიყვება, თუ საერთაშორისო პოლიტიკური საქმიანობის დაბანგვის ცდები?

ნორმალურ ეპოქაში და ნორმალურ ხალხთან რომ გვქონდეს საქმე, რუსულ-ჩინური სამკვდრო-სასიცოცხლო ომი დიდი ხნის დაწყებული უნდა იყოს და არა კედლებისა და პრესა-რადიოს უშვერი ლანძღვა-გინებით ამოვსებით. ეს მოვლენა არავითარ ნასახს არ ატარებს დიპლომატიური თამაშისას, ხოლო Casus belli-ს ნიშანდობლივი ელემენტებით კი აღსავსეა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთგვარად რუსეთიც მართალია და ჩინეთიც, როდესაც ერთი მეორეს სწამებენ იმპერიალისტურ განზრახვებს.

ლენინის პროგნოზი, რომ ჩინეთის საშუალებით რუსული ბოლშევიკური მხედრული უნარიანობა გაიზრდება და სხვა ქვეყნებს მოინადირებს, არ გამართლდა. მისი «რი ჩი კიტაი» რუსებისავე წინააღმდეგ შეტრიალდა, რუსული პოზიციებიც შეასუსტა მსოფლიო დიპლომატიაში.

რასისტული და ქსენოფობური იერიშები, ჩინეთი რომ აწარმოებს თეთრების მიმართ, უდაოდ ფასსა სდებს მე-XIX საუკუნის მკვლევართა მიერ გამოქვეყნებულ შრომებს ყვითელი საფრთხის შესახებ. მაგრამ რამდენადაც მათ იაპონიის დამუნჯება მოახერხეს, იმდენად, რუსული გავლენით, ჩინეთს საუკუნოებით დაკეტილი ყბაც გაუხსნეს და საერთაშორისო ურთიერთობაში ახალ მძლავრ ელემენტად შეიყვანეს. ვინ დაიფიცებს, რომ რუსეთი მოინანიებს ამ მდგომარეობას და ჩინური აგრესიის დროს განათლებული დ» თავისუფალი დასავლეთის და არა ჩინეთის გვერდით დადგება!

საგულისხმო მხოლოდ ის არის რომ ჩინეთის აგრესიის პირველი სიმწვავე სწორედ რუსულმა ტერიტორიებმა უნდა განიცადონ, რომ მონღოლია და ციმბირის აღმოსავლეთი ხიდის თავად გაიჩინონ.

ყველა აღნიშნული გაურკვევლობანი დასავლეთს გზას უბნევს და საუალებას ართმევს ერთი და მტკიცე პოლიტიკა გაატაროს. ის ფაქტი, რომ მათ იყაბულეს რუსულ-ჩინური კონცეპცია ჯერ კორეისა და შემდეგ ვიეტ-ნამის ორად გაყოფის მე-38 და მე-17 პარალელის დაწესებით და ამ ქვეყნების სამხრეთი ნაწილების რუსულ-ამერიკული იარაღის საცად და საჯირითო მოედნად გადაქცევა, მხოლოდ ნაწილობრივ აშუქებს პრობლემას. რუსები თუ სისხლს არ იღებენ და იარაღის ცდა-შინჯვით კმაყოფილდებიან, ამერიკა ასიათასობით დაჭრილ, დახოცილ მხედრებს ითვლის.

ნუ დავივიწყებთ, რომ ასეთი ტაქტიკით და იმ ხანად პირველ ხარისხოვნად მძლავრი ევროპის ხმაამოუღებლად და

უპროტესტოთ მოიგდო ხელში მონარქიულმა რუსეთმა ურალს იქით მდებარე უზარმაზარი ციმბირი და ევროპის ხალხები კი ძაღლის ძვალივით დამშეული და აფორიაქებული ჩინეთის ხელში შეტოვებით დააკმაყოფილა. სამაგიეროთ ბოლშევიკურმა რუსეთმა იმავე ევროპა-ამერიკის, ეხლა უკვე დახმარებითა და იარაღით, გამოასწორა რუსეთ-იაპონიის ომის შედეგად მიღებული სამარცხვინო და დამამცირებელი ზავი და არც როჟდესტვენსკის ფლოტის წყნარ ოკეანეში ჩაძირვა და არც მთავარ სარდლის ღენ. კუროპატკინის ქუდების ისტორია აღარ განიცადა*).

ამერიკის მიერ უკვე დამარცხებულ იაპონიას შეუტია და ტერიტორიალურად ისედაც შევიწროებულ ტრაღიკულ პირობებში მყოფ ხალხს კიდევ მრავალი მიწები ჩამოსჭრა და მიისაკუთრა.

ნუ თუ უნდა ვიფიქროთ, რომ იაპონიის რევანშს დღეს ჩინეთი ითავებს? დასტურით ძნელია ამის თქმა, მაგრამ გასაოცარი არ იქნება, რომ ესეც მოხდეს, რადგან ვინმემ ხომ უნდა გადაიხადოს ჰიროშიმისა და ნაგასაკის ვალი?

ი. ს—ლი.

კომუნისტური ბლოკის რღვევა

საბჭოთა-კავშირის და ჩინეთის კონფლიქტი აჩქარებს საერთაშორისო კომუნიზმის მოძრაობის დაშლას და ურთიერთ განცალკევებას. იმის გამოცნობა, თუ რა შედეგი მოყვება, მათ გამთიშველ ბრძოლას, მსოფლიო ძალთა განწყობა-განლაგებაში ადვილი გასათვალისწინებელია. ორ იკლოსი, ორთავე კომუნიზმის მოძღვრების, ორთოდოქსური იდეოლოგიის მიმჩემებელი, ერთმანეთს გააფთრებული დაუპირდაპირდა, მსგავსად იმპერიალისტური სახელმწიფოებისა. ორთავენი ვრცელი ტერიტორიების მფლობელნი, უამრავ ერების დამპყრობელნი და მათი ეროვნულ თავისუფლების მიმტაცებელნი. როგორი უნდა იყვეს ჩაგრულ ერთა პოზიცია, ამ ორთავ მჩაგვრელთა მიმართ? ვის მხარეზე უნდა დადგენ, რომ მონობისაგან თავი დაიხსნან? ამაზე პასუხის გაცემა, მოკლედ მათი დავის გაანალიზებას მოითხოვს.

— როგორც ირკვევა, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დავა მთლიანი—გლობალურია. ეს არ არის მარტო იდეოლოგიური კინკლაობა, ის შეეხება მთლიანად კომუნისტურ სახელმწიფოთა საერთო ორიენტაციას, ნაციონალურ მიზნების სხვადასხვაგვარ გაგებას, თვით ტერიტორიალურ დასაზღვრების

*) ნიკოლოზ მეორესადმი მიგზავნილ პატაკით ღენ. კუროპატკინმა დააჯერა რუსეთის მთავრობაც და საკუთარი თავიც, რომ «ეტიხ იაპონშეკ შაპკამი ზაკიდაემ» ო.

საკითხებს, თვითეულის კონკრეტულ საგარეო და საშინაო პოლიტიკას. ხოლო იდეოლოგიური დავაც, რევოლუციის და სოციალიზმის პრობლემის გარშემო, რაც კავშირის გაწყვეტის შემდეგ, უფრო რელიეფურად გამოვლინდა, არც მთლად უმნიშვნელო და ინტერესს მოკლებულია. ამა თუ იმ საკითხებზე პრინციპული განსხვავება და შემართება, სხვადასხვანაირი განმარტება და დასაბუთება ანტინომიური ხლართებითაა მოცემული.

— სოციალისტურ რევოლუციაში სამრეწველო პროლეტარიატის—მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი ჩინელების მიერ საცილობელად არის გამხდარი და მარქსის შეხედულებათაგან დაშორებული. თუმცა, ლენინმა, კაპიტალისტური რეჟიმის სალიკვიდაციოდ, ადრევე გლეხობა პროლეტარიატს დაუკავშირა ხელისუფლების მოპოების და შენარჩუნების მიზნით, რადგან მას საკმარისად არ მიაჩნდა პროლეტარიატის ძალა გლეხების დაუხმარებლად, ისეთ ჩამორჩენილ გლეხთა მეურნეობის ქვეყანაში, როგორიც რუსეთი იყო (სადაც მუშათა კლასის ხვედრითი წონა ძალიან მცირე იყო). მაო-ძე-დუნი კარგი მანძილით დაშორდა როგორც მარქსს, ისე ლენინს და მან გლეხობას განსაკუთრებული როლი დაუკისრა კლასთა ბრძოლის წარმატებით საწარმოებლად. რევოლუციის მოსახდენათ, კომუნისტურ პარტიის დიქტატურის დასამყარებლად, სოციალიზმის განსახორციელებლად. ის ამბობს: საპიროა, არაკაპიტალისტურმა ქვეყნებმა, სადაც მრეწველობა სუსტად არის განვითარებული და მუშათა კლასი აქტიურ ძალას არ წარმოადგენს, ამ ქვეყნების გლეხობამ რევოლუციურ ორგანიზაციებში დარაზმულმა, კაპიტალისტურ ქვეყნებს ალყა შემოარტყან, სიმდიდრე, პრივილეგიები და საწარმოო საშუალებანი ხელიდან გამოსტაცონ, მათი ძლევა-მოსილება დაამხონ და შიმშილით ამოხოცონ. ამ კაპიტალისტურ ქვეყნების პროლეტარები მოკლებული კაპიტალისტურ მოგების მცირე სარგებლობას, მატერიალურად შევიწროებული, რევოლუციონურ და სოციალისტურ ფრონტს იოლად შეუერთდებიან.

— ეს სქემა წარმოადგენს რემინისცენციას და მოგვაგონებს ლენინის ცნობილ ფორმულას, პესიმისტურ განწყობილებით ნათქვამს, როცა ევროპის მუშათა კლასმა, მის რევოლუციას უარი უთხრა და ზურგი შეუბრუნა. ამის შემდეგ მას დარჩა მეორე გეზი, შორეული და უიმედო, რომელიც კაპიტალიზმის დასამხობად, რევოლუციის პირდაპირი გზა ევროპისაკენ—ბერლინ-პარიზ-ლონდონით კი არ წარიმართებოდა, არამედ აზიიდან შემოვლით—პეკინ-კალკუტის მრუდე გაპიანურებული გზით. მაო ამ კონცეპციამდის საკუთარის, ჩინეთის გამოცდილებით მივიდა, სადაც, როგორცწინეთ რუსეთში, მუშათა კლასი მეტად უძლური იყო და მხოლოდ

ბ ე ს ა ბ ა ლ ა ძ ე ს ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

დამატებითი მცირე როლი ითამაშა. უმთავრესად, მან სამოქალაქო ომი გლეხთა პარტიზანული ბრძოლით მოიგო, ე. ი. ხელისუფლება ხელში ჩაიგდო, არა მუშების შემწეობით, არამედ გლეხების დახმარებით. თვით შაოს აღიარებით, მისი წითელი კომუნისტური არმია გლეხებისაგან შესდგებოდა და შიგ, ქარხნის ერთი მუშაც კი არ რევია.

— ჩინელებისათვის ნაციონალური ტერიტორია წმიდათა წმიდაა და ხელშეუხებელი. მათთვის ეს საკითხი—იმპერიის სისუსტის დროს დაკარგულ ტერიტორიების დაბრუნება და შემოერთება, ბრძოლის სამკვდრო-სასიცოცხლო მიზანია. როგორც ცნობილია, ლენინმა სივრცის დათმობა ამჯობინა, რომ დრო მოეგო და რევოლუციონური მონაპოვარი გადაერჩინა. გერმანელების საფრთხის ასაცილებლად, მან 1918 წელს ბრესტლიტოვსკში დროებით ზავს ხელი მოაწერა და გერმანელებს ყოფილი რუსეთის იმპერიის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია გადასცა, ე. ი. მთელი უკრაინა, ბალტიის ჩათვლით. თურქეთს კი მიაკუთვნა საქართველოს და სომხეთის მიწა წყლის თითქმის ერთი მესამედი—ბათომ-ყარსის ჩამოცილებით, დაუკითხავად და მათი ნებასურვილის წინააღმდეგ *). ლენინმა ამ ტერიტორიალურ დათმობებზე ხელი

*) 1966 წელს ამერიკაში გამოქვეყნდა უილიამ ბულიტის (ამერიკის ელჩი მოსკოვში, რევოლუციის დროს) მემუარები პრეზიდენტ ვილსონის შესახებ. მის მოგონებებში მოცემულია პრეზიდენტის ისტორიული როლი მსოფლიოს პოლიტიკაში და ფსიქოლოგიური დახასიათება. ავტორი აქვე იგონებს, რომ მას ლენინმა 1919 წ. განუცხადა, რომ საბჭოთა რუსეთი შემოიფარგლებოდა რუსეთის მხოლოდ ეთნოგრაფიული ტერიტორიით და საბჭოთა ხელისუფლებას არ გაავრცელებდა განაპირა ქვეყნებში. ხოლო ვილსონს ამ განცხადება-წინადადებაზე უარი უთქვამს. არ ჩანს რა მოტივით; შეიძლება იმ ხანებში მას არ უნდოდა ძველი რუსეთის იმპერიის მთლიანობის დაშლა. საერთოდ იმ ეპოქაში მოკავშირეები ვერ ურიგდებოდნენ და ეძნელებოდათ ეცნოთ ახლად აღმოცენებული დამოუკიდებელ ერთა სახელმწიფოებრივი არსებობა. შემდეგ, მათ ასეთი პოლიტიკა ძალიან ძვირად დაუჯდათ.

იმავე გაზეთებში, სადაც უ. ბულიტის მემუარების ნაწილი დაიბეჭდა, საპასუხოდ დაბეჭდილია ალენ დალესის (CIA-ის ყოფილი შეფი) წერილი (გადმობეჭდილია ფრანგულ გაზეთში), სადაც ამბობს, რომ უ. ბულიტი ვილსონის დაფასებაში ცდება, რადგან იმ ხანად, ის მძიმე ავადმყოფი იყო და საგარეო პოლიტიკის წარმოება აქტიურადაღარ შეეძლო. დალესი ლენინის წინადადების გამამო უმატებს: ლენინი წინადადებას იძლეოდა და უნდოდა მიხი ხელისუფლების სივრცე

აიღო, როცა საერთაშორისო ძალთა განწყობილება მის სასარგებლოდ შეიცვალა. მაგრამ სულ სხვა გზა აირჩია, არ დათანხმდა არავითარ კომპრომისს ტაივანის (ფორმოზის) საკითხში და დიდხანს ბრძოლა სწარმოებდა ჩან-კაი-შეკთან მის შემოსაერთებლად, თუმცა უშედეგოთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩან-კაი-შეკთან ბრძოლა მეტად სახიფათო იყო, რადგან მას ამერიკელები იცავდენ. დათმობა კი საშვალებას მისცემდა ჩინეთს იზოლიაციიდან თავის დახწევისას, საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობისა და გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში შესვლისას.

— მაო ძე-დუნის კომუნისტური ჩინეთი კიდევ უფრო შორს მიდის. გაიხსენეს ძველი უთანასწორო ხელშეკრულებანი, დადებული მეფის რუსეთის და ჩინეთის იმპერიის შორის, მოითხოვენ, გამოძალვით მითვისებულ ტერიტორიების დაბრუნებას. ამგვარად, ჩინეთის მესვეურნი ახლანდელ ჩინეთ საბჭოთა-კავშირის საზღვრებს სადაოდ სთვლიან. მართალია, ახლა ამ ტერიტორიაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის ფარგლებშია მოქცეული, წინათ კი ჩინეთის იმპერიის დაპყრობილ პროვინციებს წარმოადგენდა, იქ, არც რუსები და არც ჩინელები არ ცხოვრობდენ, ხოლო რუსები ახლა ესახლებიან, ჩინელებს კი უნდათ მომავალში დასახლდენ, ისე რომ, არც ერთი და არც მეორე, ადგილობრივ მკვიდრთ არაფერს ეკითხებიან და მათ მიწა-წყალს სოციალიზმის სახელით, უფრო სწორად, თანახმად კომუნისტური იმპერიალიზმის განვრცობის სურვილისა ეპატრონებიან და ისაკუთრებენ, რომ შემდეგ საკოლონიზაციო არე გააფართოონ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც მოსკოვს და არც ჩინეთს, იქაურ ხალხისათვის არასდროს არ შეუთავაზებიათ, მათი ბედი ერთა თვითგამორკვევის უფლებით დაედგინათ, როგორც წინათ ლენინი ამას თვალმაქცურად იცავდა და თითქოს არ უნდოდა ეს ერები ძალად, იარაღით დაემონებიათ. მოსკოვმა და პეკინმა ამ ერების ეროვნული თავისუფლება, გულგრილად ფეხ ქვეშ გასთელეს და მათი ინტერესები თავიანთი იმპერიალისტური ამბიციების სამსხვერპლოზე მიიტანეს. რატომ ჰგონიათ რომ ეს მათ დაუსჯელათ შერჩებათ? ერთ დღეს ხომ უნდა დადგეს განანესაზღვრა ივანე მრისხანეს საფლობელოთი. ეს იყო დასავლეთისთვის ფრიად ხელსაყრელი წინადადების შეთავაზება. მან კი ასეთი ერთად ერთი შემთხვევა არ გამოიყენა, რამაც შემდეგ კომუნისტებს საშვალება მისცა თავისუფალი ერები კვლავ დაეპყროთ. იმავ ბულიტის თანახმად, ლენინმა მათ შესთავაზა. ყველა ფრონტზე ზავის ჩამოგდება და თანახმა იყო ეცნო, ყველგან ანტი-კომუნისტური რეჟიმი, ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოები.

კითხვის დღე და სარჩიელი წარდგენილი? საშინელ რისხვას, მსგავსად სხვა ისტორიულ იმპერიებისა, ვერც ისინი ასცდებიან. ახლა, სხვის კუთვნილ ტერიტორიების შენარჩუნების გამო გახშირებული კონფლიქტი, უამრავი სასაზღვრო ინციდენტები, ჯარების გადასხმა-დაგროვება, სამხედრო დივერსიები, ერთი-მეორეს დაშინება, აშკარად მოწმობენ მათ ზნეობრივ-იდეურ გაკოტრებას; მაშ, სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას, რომ თვით კომუნისტური სახელმწიფოები, რომელნიც ვითომც სდგანან «პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის და ერთა სოლიდარობის» საფუძველზე, ერთმანეთში ვერ რიგდებიან. არც ერთიანი იდეოლოგიური (მარქსიზ-ლენინიზმი) მოძღვრება საკმაო არ აღმოჩნდა დაეძლიათ «დიდმყრობელ ერთა შოვინიზმი», (ახლა ასეთი ეპიტეტით ამკობენ ერთმანეთს) და ასე უწყალოდ ერთმანეთს აეშალენ.

— საბჭოელებს შეუძლებლად მიაჩნიათ «კატასტროფიულ პერსპექტივის» დაშვება, რაც ჩინელებს თავიანთი პოლიტიკის ბაზად აქვთ მიღებული, უარს ამბობენ. ჩინელების ეკონომიურ და სამხედრო დახმარებაზე, საბჭოთა ხალხების მატერიალურ კეთილდღეობის საზიანოდ. ამის გამო იყო, რომ კომუნისტურ ჩინეთის ხელმძღვანელნი იძულებულნი იყვენ, ინდუსტრიალიზაციის ტემპი აეჩქარებიათ და ატომურ იარაღების დამზადებაზე ეზრუნათ. განგაში ასტყდა მრავალმილიონიან მასების დასარაზმავად, დასახულ მიზნების მისაღწევად. დაბოლოს, ამ შეუწყვეტელ განგაშს, ფაცა-ფუცს, ბევრს უშედეგო ცდებს «კულტურული რევოლუცია» მოყვა, რაც ერთგვარად საბჭოთა რუსეთის «სამხედრო კომუნიზმს» მოგვაგონებს, მეტ-ნაკლებად «ჩინურ ფერებით» შეღებილს. და რაც უმთავრესად გამოიხატება დიდი მასების საერთო მობილიზაციაში, ექსცესებსა და ხულიგნობაში, ძველ კულტურულ ღირებულებათა განადგურებაში, გაბურჟუებულ კომუნისტების დევნაში, რევიზიონისტების, ე. ი. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელთა ფანატიკურ სიძულვილით გმობა-მხილებაში. მეტ-წილად მიზანში «აგრესორ» ამერიკელებია ამოღებული, რადგან ჩინელებისათვის, მოკლე ხანში, მათთან ომი გარდაუალად არისმიჩნეული, ამისთვის საჭიროა მუდამ მზადყოფნა. ომი მიჩნეულია, როგორც უმოკლესი მანძილი, კაპიტალიზმის აღგვის შემდეგ, სოციალიზმში გადასასვლელად. ამ თეზისის ოდნავი ოპოზიცია, წინააღმდეგობის გაწევა, დაეჭვება, მერყეობა სოციალიზმის ღალატად არის გამოცხადებული. ამერიკასთან აუცილებელი ომი კი, მაოს აზრით, საყოველთაო რევოლუციის გამარჯვების საწინდარია, რადგან ახალი მსოფლიო ომი, კაპიტალიზმის და მისი მოკავშირის რევიზიონიზმის მოსპობით დასრულდება და ეს რაც უფრო ადრე მოხდება, მით უკეთესია, ყველგან ინტერნაციონალური კომუნიზმის დასამყარებლად.

— აქ საჭიროა აღინიშნოს მაინც ის განსხვავება, რომელიც ვლინდება სტალინის და მაოს მოქმედების შორის. თავის დროზე სტალინმაც მოახდინა არმიის და პარტიის დაუზოგველი წმენდა, საიდუმლო პოლიციის გამოყენებით. მაოძე-დუნმაც, რომელიც მას ყველაფერში ბაძავს, წინასწარ გაწმენდილ და რეორგანიზებულ არმიასა და წითელ გვარდიაზე დაყრდნობილმა, უწინარეს ყოვლისა, მძაფრი იერიშები მიიტანა პარტიის კადრებსა და მათ მეთაურებზე, ჯერ-ჯეროობით სტალინისებური მკაცრი რეპრესიების გარეშე. წითელ გვარდიასა და პარტიის მუშაწევრებს შორის ხშირი დაპირისპირება, შეჯახება, რესპუბლიკის პრეზიდენტის და პასუხისმგებელ პირების ქუჩაში გამოთრევა, საჯაროთ გაკიცხვა-გაბახება, შეურაცყოფა, ადასტურებს, რომ პარტიის ერთი ნაწილი მაინც, არ იზიარებს მაოს პოლიტიკას და მის «კულტურულ რევოლუციის» ბრძოლის მეთოდს და მას ოპოზიციაში უდგას.

— სულ სხვანაირია საბჭოთა-კავშირის პოლიტიკა, რომელიც აღარ ეჭვობს ამერიკის «ვეფხის ატომურ კბილის» რეალურ ძლიერებაში და მსგავსად ჩინელებისა, აგდებით, ამერიკის ატომურ იარაღის ძლიერებას «კარტონის ვეფხს» არ ადარებს, და გრძნობს და ზუსტად აფასებს ამერიკის სამხედრო საჭურველის და ტექნიკის უპირატესობას და შიშობს კიდეც მასთან საომარ შემართებას, რომლის საბოლოო შედეგი ქვეყნისა და სოციალიზმისთვის მეტად სავალალო იქნება. ამიტომაც, მოსკოვი «მშვიდობიან თანაარსებობის» პოლიტიკის მომხრეა. ამასთანავე, ქვეშ-ქვეშ, ფარულად სხვებს აქეზებს და ზოგჯერ, არა-პირდაპირი გზით, მატერიალურ დახმარებასაც უწევს რევოლუციონურ და ყოფილ კოლონიალურ ხალხების ეროვნულ მოძრაობის გაფართოებას. თავს ისე აჩვენებს, თითქოს რევოლუციის ექსპორტის წინააღმდეგია, ამავე დროს აცხადებს, რომ წინააღმდეგია სხვათა შინაურ საქმეებში ჩარევისა, მიუხედავად ამისა, მაინც ერევა ყველას შინაურ საქმეებში, მსოფლიოზე კალიასავით მოდებულ ფარულ აგენტების მეშვეობით. ამით, ცბიერად, სხვებსაც ურჩევს არ ჩაერიონ სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში და ნუ გაიტანენ «კონტრ-რევოლუციას» საექსპორტოდ. აქ ალუზია, მორიდებით, დაუსახელებლად, ამერიკის მიმართ არის მიმართული.

— როგორც აქედან ჩანს, მოსკოვში საომარ გუნებაზე არავინ არის და ურჩევნიათ ამ ქვეყნად ხანგრძლივი მშვიდობიანობა დამყარდეს. მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა-კავშირის ხალხები საშინლად დაინტანჯა და ახლა, მათი მიზანია როგორმე ნიუკლერის ომი თავიდან აიცილოს, ქვეყნის უშიშროება უზრუნველყონ, ხოლო არც სოციალისტური სახელმწიფოს პრესტიჟი დასცენ, ამის-

თვის ამჯობინებენ ამერიკასთან, საიდანაც მათ მუდმივი საფრთხე ელის, ერთგვარი «მოდუს ვივენდი» გამონახონ, ე. ი. მისგან დროებით მაინც, მოულოდნელ ხიფათისაგან თავი დაიზღვეონ. ეს მშვიდობიანობა მათ სჭირდებათ, რათა შესაძლებელი გახდეს ნაწილი სამხედრო თავდაცვის კოლოსალური ხარჯებისა ეკონომიურ სექტორს მიაშველონ, ხალხთა აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

— ასევე, ამერიკაც, სამხრეთ აზიაში, მისდა უნებურად ომში ჩაბმული, ჩინეთ-ვიეტნამის კომუნიზმის ექსპანსიის შესაკავებლად, ცდილობს ამჟამად არ დაუპირდაპირდეს საბჭოთა-კავშირს და მასთან კონფლიქტი აიშოროს. გავლენის სფეროების შემოფარგვლით, მყარი ურთიერთობა დაამყაროს საერთაშორისო ძალთა განწყობილებაში. აქედან, უთქმელად შეთანხმება, წინად სადაო საკითხებზე, როგორიც არის, დასავლეთ გერმანიის მიერ ატომურ იარაღების დამზადების უარი, ევროპაში ამერიკის შეიარაღებულ ძალების შემცირება, სხვებზე ნიუკლერის საჭურველის გაუზიარებლობა, შუა ევროპის დენიუკლერიზაცია, გერმანიის განიარაღება და ნეიტრალობა, არც გერმანიის ახლავე გაერთიანება. რა თქმა უნდა, ამერიკა ამაზე არასდროს დათანხმდება, მხოლოდ მისთვის ამ მომენტში, ესოდენ მწვავე საკითხების ფიცხლად გადაჭრა ხელსაყრელი არ არის და საბჭოელების ამ მოთხოვნებზე, დროის მოსაგებად, ყურს იყრუებს.

— მიუხედავად აშკარა ოპოზიციის და ინტერესთა წინააღმდეგობისა, საბჭოთა-კავშირსა და ამერიკას შორის, თითქოს ლოიალური დამოკიდებულება დამყარადა, მათი პოლიტიკა ბევრ რამეში ერთმანეთს დაემთხვა, რაც თვალსაჩინოა ოფიციალურ პირთა წარმოთქმულ სიტყვებიდან, დიპლომატიურ შეხვედრებიდან, ზომიერ საგარეო პოლიტიკის წარმოებიდან, რაც უთუოდ მიზნათ ისახავს ომის საშინელების თავიდან აცილებას და ასეთი ძალთა წონასწორობის შეუთანხმებლად დადგენა, გამოწვეულია ომის შიშით, რაც ამ მომენტში, არც ერთი მხრისთვის ხელსაყრელი არ არის.

— ჩინეთის კომუნისტებს მარტო პირის გაღება სჭირიათ, დასკვნა გამოიტანონ, რომ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის, რაღაც ფარული შეთანხმება უნდა არსებობდეს, ჩინეთის ხარჯზე და მის საზიანოდ. მსოფლიოს ძალთა ასეთ განაწილების და ამ ფარულ შეთანხმების გამოა, რომ ჩრდ. ვიეტნამს საბჭოთა-კავშირი ასე უხალისოდ და ზანტად ეხმარება, სინამდვილეში, იმავ ჩინელების აზრით, ბევრს არაფერს ეშველელება. სიტყვიერი და მორალური გამხნევება კი ვერ ანაზღაურებს სამხედრო და მატერიალურ დახმარებას. მოჩვენებით თუ საბჭოთა-კავშირი ჩინეთის გაღიზიანებას ერიდება, ხოლო მაინც ცდილობს, სხვების მეშვეობით, ჩრდილოეთ ვიეტნამი,

წინასწარ ომის შეწყვეტით და მოლიგებით, ამერიკას დაეხავოს. პრესტიჟის დაკარგვის და ჩინელების წინააღმდეგობის შიშით უშუალოდ საბჭოებს არ შეუძლიათ ინიციატივა თვით აიღონ და ვიეტნამიელთა შორის საცილობელი საკითხები მშვიდობიანი საშვალებით და კომპრომისით გადაჭრან.

— მოსკოვ-პეკინის გამწვავებული კონფლიქტები, ორივე მხარის ურთიერთობას ართულებს და საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობას ქმნის. ეს გარემოება ამერიკაში ამძაფრებს საზოგადოებრივ აზრს და პრეზიდენტ ჯონსონის ადმინისტრაციის მიმართ, აძლიერებს პოლიტიკური წრეების ოპოზიციას, რომელნიც ჩინეთის წინააღმდეგ ახლავე ომში ჩაბმას მოითხოვენ, სანამ დაგვიანებული არ არის, წინასწარ განადგურდეს ჩინეთის ინდუსტრია, და ჩინელებმა ბომბის გაკეთება ვერ შესძლონ, რადგან ატომური ბომბის ქონება მომავლისათვის ამერიკას დიდ საფრთხეს უმზადებს. ოპოზიციას არ სჯერა, რომ, საბჭოთა-კავშირი, ჩინეთ-ამერიკის-მოსალოდნელ ომში არ ჩაერევა. მეორეს მხრივ, უნდა ვივარაუდოთ, საბჭოთა-კავშირი არ დაუშვებს, მის თვალწინ ატომური ბომბებით გატიალდეს და პირისაგან მიწისა აღიფხვრას ძველი, ისეც კომუნისტური მოკავშირე სახელმწიფო. მით უფრო, ის ამას არ დაუშვებს, რადგან კომუნისტური ჩინეთის დამარცხება, მის საზიანოდ დაარღვევდა ძალთა განწყობილებას, თანაც ჩან-კაი-შეკის რეჟიმის აღდგენა არა ნაკლები საფრთხე იქნება, ვიდრე მაოს ჩინეთი. ამის გამო, მოსკოვის პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ ჩინეთი როგორმე მოაჭკვიანოს და მარქს-ლენინიზმის წიაღს დაუბრუნოს, ე. ი. წინანდებურად საბჭოთა-კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხაზს დაუმორჩილოს. ეს ილუზიების სამყაროს უფრო ეკუთვნის, ვიდრე სინამდვილეს და რეალურ პოლიტიკის სფეროს.

— იდეოლოგიურმა დავამ პოლიტიკური და სტრატეგიული ხასიათი მიიღო, ჩინელებს ცდა არ დაუკლიათ საბჭოელები «მესამე მსოფლიოდან» მოეწყვიტად. კომპეტიცია მკაცრ ფორმებში გაიშალა: დაბრკოლების ჯებირები აღიმართა, რომ საბჭოთა-კავშირის წარმომადგენლებს, მეორე ბადუნგის სამკონტინენტის ჰავანის (კუბა) ყრილობაზე მონაწილეობა არ მიეღოთ. საბჭოელებმაც ყოველი ღონისძიება იხმარეს ამ ყრილობას დასწრებოდენ და ნაწილობრივად მაინც შესძლეს, პირიქით, ჩინეთის დელეგაციის იზოლიაცია მოეხდინათ და მათი ზეგავლენა მინიმუმამდის დაეყვანათ. უნდა ვაღიაროთ, მოსკოველთა ტაქტიკა, გარეგნულად თავდაცვითი, სხვადასხვა ხრიკების გამოყენებით, მთლად უშედეგო არ ყოფილა ამხანად, მოჩვენებით მაინც, ჩინეთის მომხრე კომუნისტები დამოუკიდებელ პოზას ინარჩუნებენ, ხოლო გადაჭრით არც მოსკოვს ემხრობიან. ეკონომიურმა კრიზისმა, მა-

ტერიალურმა უსახსრობამ, მასიურმა პარტიის წმენდამ, ამ ქამად მიმდინარე «კულტურულმა რევოლუციამ», (რაც ჭუჩაში მასების გამოყვანა და ღრიალი მათ რევოლუცია გონიათ), დოქტრინალურმა სიმკაცრემ, ჩინელებს ხელი მოუცარა, სხვებისათვის მისაბაძი და სამაგალითო ყოფილიყვენ. ამან კი, დროებით მაინც, გზა გადაუღობა მსოფლიოს არენაზე, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში ხელმძღვანელი როლი ეთამაშა, ამიტომ ჩინეთი ვიწრო რკალში იკუმშება და უკეთეს პირობების მოლოდინში, «კულტურულ რევოლუციის» მასკარადით ერთობა.

— ისიც მართალია, ჩინეთის მომხრე პარტიებმა, მოსკოვთან კავშირი გასწყვიტეს, პატარ-პატარა ფრაქციებად ჩამოყალიბდენ და დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებენ რევიზიონისტურ, ოფიციალურ პარტიასთან, ე. ი. მოსკოვთან, როგორც მარქს-ლენინიზმის, კომუნისტურ იდეების მოღალატეების და გამყიდველების წინააღმდეგ. აზიაში, აფრიკაში და სამხრეთ ამერიკაში საბჭოელები დიდ პროპაგანდას ეწევიან და დიდ თანხებსაც ხარჯავენ ჩინელების გამთიშველ მუშაობის ჩასაშლელად, მაგრამ წამხდარ საქმეს ეს ვერ შველის. ამ ქვეყნების ახლად შექმნილ სახელმწიფოებში, სადაც ორ ანტაგონისტთა შორის გაშმაგებული ქიშპია, ჩინელების დიპლომატიის სიტლანქემ, უხეშად შინაურ საქმეებში ჩარევამ, დამხმარე ტექნიკოსთა მოურიდებლად მაოიზმის ქადაგებამ, მათ ხახელი გაუტეხა და უნდობლობის ატმოსფერო გაამეფა და გავლენის სასწორი საბჭოელებისაკენ გადახარა. ამ მდგომარეობით, ყველაზე უფრო, ისევ ამერიკამ ისარგებლა და სადაც ანტაგონისტებმა ერთმანეთს ხელი შეუშალა თავიანთი გავლენა დაემკვიდრებიათ, იქ ამერიკელებმა ფეხი მოიდგეს და თავის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული გავლენა გააფართოეს. ცხადია, ჩინეთის საგარეო პოლიტიკამ და მისმა დიპლომატიამ ყველგან საგრძნობი მარცხი განიცადა, მისი უცხოელი მეგობრების წრე შემცირდა და განისაზღვრა, ევროპაში მხოლოდ ალბანეთი შერჩა, რუმინელებმა მოსკოვის «მეგობრობიდან» თავი დაიხსნეს და ნეიტრალიზმით კმაყოფილდებიან, პაკისტანი, ჩრდილოეთ კორეია. კამბოჯი და ჩრდილოეთ ვიეტნამი, გეოგრაფიულ მდებარეობით ძალა-უნებურად მომწყვდეული არიან ვრცელი ჩინეთის გარემოცვაში, მეტი ღონე არა აქვთ დიდი მეზობლის შიშით წინა-უკმო იქანაონ.

— საბჭოთა-კავშირმა მეტ-ნაკლებად მაინც აღიდგინა ძველი მდგომარეობა, მაგრამ მისი უმანდელი პრესტიჟი და გავლენა ძალზე დამცირებულია. მართლაც, კომუნისტური პარტიათა უმრავლესობა, მას სოლიდარობას უცხადებს, ხოლო არც მთლად უპირობოდ. აქაც, ყველაზე მეტად იმ ქვეყნების კომუნისტურმა პარტიებმა იხეირეს, ხელი მოითფეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც მოსკოვ-პეკინის დავით ისარგებლეს, მათზე მორჩილების მძიმე უღელი მოიხსნეს და ახალი ნეიტრალიზმის ზღუდეებს ეფარებიან, რომ არბიტრის როლი მოხერხებულად ითამაშონ. სხვანაირად, რუმინეთი ვერასდროს მოსკოვის რკინის სალტეებს თავს ვერ დაახწევდა, ისე რომ, სოციალისტური ბანაკი არ შერყეულიყო და ეს მისთვისაც საბედისწერო არ გამხდარიყო. ასევე, ჩრდილოეთ კორეიაც ვერ გაბედავდა ჩინეთის ჰეგემონიიდან თავი გაენთავისუფლებინა, ისე რომ, ჩინელ კომუნისტების განრისხება არ გამოეწვია, საბჭოთა-კავშირის და გარე-მონგოლეთის უშუალო მეზობლობამ ჩრდილოეთ კორეიას ეს საარისკო ნაბიჯი ადვილად გადაადგმევინა. მართლაც, რომ დროება ახდილად გამოიცვალა: აბა, სტალინის ეპოქაში. ვინ ახირდებოდა და კრემლს ურჩობას გაუწევდა! ახლა, ევროპის და სხვა ქვეყნების კომუნისტები თამამად და გაბედულად ლაპარაკობენ და ავლენენ შედარებით მეტ თავისუფლებას. იაპონიის, იტალიის და ინგლისის კომუნისტური პარტიები, ვერასდროს შესძლებდენ, ისეთ ამკარა დამოუკიდებელ პოზიციაზე დადგომას, ამ ორი კომუნისტური სახელმწიფოს ჰეგემონიის შესუსტებას ხელსახებად რომ არ გრძნობდენ. ჩინეთის კომუნიზმის უკან დახევა, უფრო ღრმა მიზეზთა შედეგია, ვიდრე ჩვეულებრივ გონიათ; არა ნაკლებ მნიშვნელობისაა საბჭოთა-კავშირის კომუნისტური პარტიის დაქვეითება და დეკადანსი, მიკრო ნაციონალურ კომუნისტურ პარტიების შემოტევით და ოპოზიციით გამოწვეული, რის გამო იგი გაჭირვებით ახერხებს პოლიტიკურ და სამხედრო რელატიურ კოჰეზიის შენარჩუნებას, ხშირად დათმობის და თავის დამცირების საფასურით.

— პოლიცენტრიზმი, რომელსაც ასე თავგამოდებით მოითხოვდა—იტალის კომუნისტების ლიდერი ტოლიატი, ახლა, თითქმის ყველას მიერ გაზიარებულია. ცენტრიდან მსრბოლი ტენდენცია, ამჟამად ყველგან ფართო გასაქანს პოულობს. ჩინეთის მომხრე კომუნისტური პარტიები და ჯგუფები, მათივე ქვეყნის სახელით იწოდებიან და მეტწილად ავტონომიურად მოქმედობენ. საბჭოთა-კავშირის მოხრენი კი —თუმცა არიან «უპირობოთ მორჩილნი» (გარე-მონგოლეთი, ბულგარეთი, ჩეხო სლოვაკია და სხ.), მეორეს მხრივ არიან «უფრო ნაკლებ მორჩილნი» (პოლონეთი, ჰუნგრეთი და სხ.), დანარჩენი, ე. ი. უმრავლესობა (რუმინეთი, კუბა, იტალია და სხ.), ნეიტრალურ ბანაკს შეეხიზნენ.

— მოსკოვის ყოველგვარი ცდა, ყველა მათი ერთ ორთოდოქსურ კალაპოტში მომწყვდევისა, ე. ი. მრავალცენტრიანობის მოსპობა, წინანდებურად მოსკოვის ცენტრზე მიჯაჭვა, გადაჭრით წინააღმდეგობას აწყდება და მათი გაერთიანება, ჯერ-ჯეროობით მაინც, უშედეგოდ რჩება. განზრახული გეგმა,

მსოფლიო კომუნისტური პარტიების ქორუმის შეკრება, მაოძე-დუნის ანტი-ლენინისტური მოქმედების მსჯავრის დასადებად, ამას წინათ ბულგარეთის და ჰუნგრეთის პარტიულ ყრილობაზე, საბჭოელების შთაგონებით და ზეგავლენით, მიღებული დადგენილებები, გასული წლის პარტიის პლენუმზე, თვით გენერალური მდივნის-ბრეჟნევის კათეგორიულ ი მოთხოვნის მიუხედავად, მსოფლიო კონგრესის მოწვევისა, ჯერ-ჯერობით მაინც, განუხორციელებელი რჩება, იგივე, რუმინეთის, იტალიის და სხ. დელეგაციების გამო. დიდი უმრავლესობა, სამაგიეროდ, უმჯობესად ცნობს, პარტიის ორმხრივ (ცალკე პარტიათა) კონსულტაციებს, ან რეგიონალურ სათათბირო კონფერენციის მოწვევას, რომელთა გადაწყვეტილებას კერძო სარეკომენდაციო, რჩევის ხასიათი ექნება, ე. ი. მათი დადგენილება სავალდებულო არ იქნება. თუ არ ვცდები, ეს არა-პირდაპირად მაინც, მოსკოვის გაწბილებას უდრის.

— დასკვნა: მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შემადგენელი პარტიები ერთმანეთს თანდათან ეთიშებიან, მარქს-ლენინიზმის დოქტრინას განსხვავებული პოზიციიდან აშუქებენ, ყველა თავისებურად და თავიანთ სასარგებლოდ; ნებაყოფლობით უბრუნდებიან კოოპერაციის და კავშირის იმ სუსტ ფორმებს, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო წინათ არსებულ ინტერნაციონალების, ე. ი. სხვადასხვა ბრძოლის ტაქტიკის არჩევით და იდეოლოგიური განხეთქილების გზით მიიმართებიან რომ, ლენინ-სტალინის კონცეპცია—ერთი ინტერნაციონალური კომუნისტური პარტია, მკაცრი დისციპლინით შეკრული, მონოლითური, ნაციონალურ სექციებად დაყოფილი, ერთადერთი ცენტრი—მოსკოვის ხელმძღვანელობით და დირექტივებით, იქვე დაბუდრებული კომინტერნი და ამაზე უფრო მაღლა მდგომი საბჭოთა-კავშირის კომუნისტური პარტია, განსაკუთრებით, მისი ყოვლის შემძლე, ყველას მბრძანებელი, გენერალური მდივანი—სტალინ-ხრუშჩოვ-ბრეჟნევ, თუ სხვა, პოლიტ-ბიუროს ჩათვლით, საბოლოოდ ისტორიის არქივს ჩაბარდა. მისი კვლავ აღდგენა, სტალინის მემკვიდრეთა მიერ, მეტად საეჭვოა

— ჩვენთვის, იმ ერებისათვის, რომელნიც ძალით მოხვეულ კომუნიზმის უღელს ქვეშ გმინავენ,—მათი იდეური გახრწნა და განრღვევა, ერთმანეთის ღრნა, დაშლა-დაკუწმაწება,—ხუნდების დამსხვრევის და ეროვნული თავისუფლების მოახლოვების საიმედო საწინდარია.

— ჩვენთვის არჩევანი არ არსებობს, არც ერთი მხარე მისაღები არ არის. მხარის დაჭერაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ მხოლოდ ვისურვოთ მათი აგონია, რაც შეიძლება ჩქარის პროცესით წარიმართოს და თავის ლოგიკურ დასკვნამდის მივიდეს.

ს. ჭირაქაძე.

გიორგი ყიფიანის ლექსები

ეს საკმაოდ სქელი წიგნი, ჩვენი პოეტის ნაწარმოებთა თითქმის მთლიან კრებულს წარმოადგენს და თუ საფიქრებელია რომ მისი გამოცემა ავტორისათვის სასიხარულო მოვლენაა, ეს კრებული მკითხველისათვისაც ფრიად საამო საჩუქარია *).

ჩვენს დალოცვილ ქვეყანას პოეტები არ აკლია, მაგრამ ქართველებს პოეზია ისე ძლიერ გვიყვარს—ყიფიანის კრებულის გამოცემა თუნდ მარტო ლიტერატურული მოვლენაც რომ ყოფილიყო, ჩვენ იგი მაინც გაგვახარებდა. ხოლო ჩემის აზრით, ამ წიგნის საზოგადოებრივი მნიშვნელობა უფრო დიდია ვიდრე ლიტერატურული—რადგან გიორგი ყიფიანმა, თავისი ნამოღვაწარით, როგორც ქართველი ემიგრაციის პოეტმა, თავისი სახელი ისტორიაში ჩასწერა. და ვერც-ერთი მომავალი მკვლევარი, როდესაც ჩვენი აქაური სულისკვეთების დახატვასა და ახსნას მოინდომებს, ყიფიანს გვერდს ვერ აუვლის—მით უფრო, რომ ქართველთა უმეტესობისათვის (ჩვენდა საუბედუროთ) ზრახვათა, როგორც გამოთქმის ისე გაგებისათვის, პოეზიის ენა უფრო ადვილად სახმარი და მისაწვდომია, ვიდრე სხვა რომელიმე ხერხი გამოთქმისა.

ემიგრაციაში სხვა ქართველი პოეტებიც გვყავს მაგრამ ვერცერთ მათთაგან «ქართული ემიგრაციის პოეტი» ვერ დაერქმევა რადგან ისინი, სისტემატიურად არ ბეჭდავენ, მათი ხმა ჩვენამდე კანტი-კუნტად აღწევს ან მათი მოტივები უფრო პიროვნულია ვიდრე საზოგადოებრივი. ყიფიანის ლექსთა კრებული კი ნამდვილი მატიანეა ჩვენი აქაური ცხოვრებისა, ჩვენი ჭირისა და ლხინისა, ჩვენი იმედებისა და სასოწარკვეთილებისა, ჩვენი სიყვარულისა და სიძულვილისა, ჩვენი მეტამარფოზისა, ჭაბუკურ ტაატიდან ხანდაზმულ სიდინჯემდე. ყოველი ჩვენთაგანი ამ ლექსების კითხვისას, საკუთარ სულიერ განცდათა პარალელებს იპოვნის. აწ უკვე კარგა გრძელი წარსულიდან ვიდრე დღევანდლამდე.

ყოველივე ზემოდ თქმულს მხედველობაში თუ მივიღებთ წიგნის საკუთრივ ლიტერატურული ღირსება ბანალურიც რომ ყოფილიყო, ავტორს საყვედურს მაინც ვერ ვ ტყოდით. მაგრამ ამ მხრივაც, ყიფიანი, როგორც პოეტი, დამოუკიდებელი ორიგინალური ლიტერატურული მოვლენაა.

წიგნის პირველად წაკითხვისთანავე, ვიდრე მკითხველი ანალიზს შეუდგებოდეს, მას თვალში ერთი უცნაურობა ეცემა: უნაკლო შაირების, შედევრების, გვერდით თქვენ წააწყდე-

*) გიორგი ყიფიანი: ლექსები. პარიზი 1965.

ბით დაუმუშავებელ ლექსს, თითქმის ნედლ მასალას. მაგრამ დავიწყოთ თავიდან. ამ ამბავს თავისი ისტორია აქვს რომელშიც ფრიად ცნობილი პირია ჩარეული.

გრიგოლ რობაქიძემ ყიფიანს შენიშნვა მისცა: «ხელ ოვანი «ხელოსანიცაა». ხელოსნობაში გიორგი ყიფიანს კიდევ წვართი სჭირდება. მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ნამდვილ გამართვას ქართული სიტყვისა»-ო.

ამის გამო გ. ყიფიანმა დაბეჭდა ლექსი «დიდ ოსტატს» რომელშიაც იგი არა მარტო უპასუხებს გრიგოლ რობაქიძეს არამედ აღსარებასაც ამბობს და თავისი პოეტური სულის გასაღებს იძლევა:

«შაირის სხეულს შალაშინით ვერ ვალამაზებ,
სიტყვის საჭრელად სტრიქონებში ვერ დავდგი დაზგა...
ჩემი ღიმილის მე არ მინდა დავაქკაცება,
რომ საღებავით შევაფერო სიტყვა ნათქვამი...
არავის ავნებს სურნელება ველური ბალის,
სად კაცის ხელი ხელოსნობით ვერ შეხებია...
გზები მოღლილი თუ შეჩერდა უძარღვო თქმაში,
გემშვიდობები შაირებში დავრჩები ბავშვი».

კაცს ძალაუნებურად აკაკისა და ვაჟას ცნობილი დიალოგი მოაგონდება: «ენას გიწუნებ ფშაველო» და პასუხი: «ნუ შეგაშინებსთ არ გავნებსთ მთიდან ყვირილი ხარისა». ყველა პროპორციის დაცვით ორ ამბავს შორის დიდი მსგავსებაა. ორთავე შემთხვევაში უკვე სახელმოხვეჭილი პოეტები, ჯერ კიდევ გზის მკაფავ პოეტებს მიმართავენ, და როგორც აკაკი ზემოდმოყვანილ ფრაზას რამოდენიმე წლით უფრო გვიან აღარ დასწერდა, ისე რობაქიძეც, უნდა ვიფიქროთ, ყიფიანის შემოქმედებას დღეს რომ აფასებდეს, საქმეს სხვაგვარად განსჯიდა, რადგან დაინახავდა რომ მის მიერ აღნიშნულ ნაკლს შეგნებულად ინარჩუნებს ყიფიანი.

ვინც ყიფიანის ნაწერთა მთლიან კრებულს გაეცნობა, აშკარად დაინახავს რომ თუ პოეტი ამბობს: «ვერ ვალამაზებ» და «ვერ დავდგი დაზგა»-ო, იმიტომ კი არა რომ მას ეს არ შეუძლია, არამედ იმიტომ რომ მას არა ჰსურს მისი «ღიმილის დავაქკაცება» და «ნათქვამი სიტყვის საღებავით შეფერვა», ხოლო ჰსურს ფრიად ძნელი და პოეტისათვის ძვირფასი რამ: პოეზიაში ბავშვად დარჩენა. გ. ყიფიანის წიგნში ნამდვილი მიღწევები იმდენად საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი, რომ მის პოეტურ სიმაღლეში კაცს იჭვი არ შეეპარება, ხოლო რაც «ხელოსნობაში წვარს» შეეხება, თუ ეს ხელოსნობა სისტემატიურად არ არის გამოყენე ული, ამით სხვა, ხელოსნობაზე უფრო იშვიათი და უფრო ძვირფასი თვისება არის გამომჟღავნებული, რომელსაც პოეზიაში ყოველგვარ «წვართზე» მეტი ფასი აქვს. ეს გახლავთ პირველადი

გრძნობის ხალასად ჩვენების უნარი, რაც პოეტისაგან უდიდეს ვაჟკაცობას მოითხოვს, რომლის გამოჩენაც აბსოლუტურ გულწრფელობის გარეშე ყოვლად შეუძლებელია.

ნიჭით, შრომით, წვართით, ცოდნით კაცი ბევრ რამეს მიწვდება, მაგრამ იშვიათია პოეტს ვაჟკაცობა ჰქონდეს ყოველგვარ ფერუმარულის უმისოდ, შიშველი გულისა და სულის ამარა მკითხველის წინაშე წარსდგეს და სთქვას:

«რაც ღმერთმა მომცა მოკრძალებით მე შენ გთავაზობ.

გავაიაფე პოეზია? არა არასდროს».

ამ წერილს წერტილი აქ ვერ დაესმევა რადგან ისე გამოვა თითქოს გრიგოლ რობაქიძე ყიფიანის წინაშე მტყუანი გამომყავდეს. რა თქმა უნდა, ჩემგან დაწუნებით გ. რობაქიძეს არაფერი დააკლდება მაგრამ არც გ. ყიფიანის სახელს მიემატება რამ; რადგან ყიფიანის ნაწერებს კიდევ სხვანიც გაარჩევენ მომავალში და რობაქიძის ავტორიტეტი მეც და ყიფიანსაც ორთავეს გაგვანადგურებს.

ისეთი პოეტი რომელიც არა არის «ხელოვანი ხელოვნებისათვის» არამედ უფრო საზოგადოებრივ მოტივებზე მწერალია, თავისი სტილის არჩევაში პირველზე ნაკლებად თავისუფალია. ამ უკანასკნელს მეტი მოვალეობა აწევს მკითხველთა მიმართ და მისი სახელი და დიდება შესატყვისი საფასურით გამოისყიდების. (ეს ის მდგომარეობაა ფრანგები რომ გრანდორ-სა და სერვიტიუდ-ს ეძახიან). გ. ყიფიანი ვალდებული იყო მარტო მოხდენილი პასუხით არ დაკმაყოფილებულიყო და შენიშვნისათვის მეტი ანგარიში გაეწია. ყიფიანის «შეუღებავი სიტყვა», «დაუვაჟკაცებელი ღიმილი» და «ველური ბაღის სურნელება» ლამაზია და მისაღებია მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე. ზომას გადაჭარბებულ ი კი უკვე ნაკლად იქცევა. მართალია ყველას უფლება აქვს საკუთარი გემოვნება ჰქონდეს, მაგრამ ვისაც უმრავლესობის მოწონების დამსახურება ჰსურს, იგი ამ უმრავლესობის გემოვნებასაც უნდა შეეგუოს. სიტყვის უდიდესი ოსტატები ამუშავებდნენ თავიანთ ტექსტს. ზოგ ნაწარმოებს თვითონვე იწუნებდნენ და არ ბეჭდავდნენ. ილიას არქივში ერთ მისგან დაწუნებულ დაუბეჭდავ ლექსს აქვს წარწერა: «რიტორიკა უშვერი». გ. ყიფიანის წიგნში უშვერი არაფერია მაგრამ ზოგი ლექსი, უნდა ითქვას, ადვილად აიტანდა გასწორებას. ხოლო თუ ისეთი აღმოჩნდებოდა რომელიც გასწორებას გაუძალიანდებოდა მისი არდაბეჭდვაც არაფერს გააფუჭებდა.

მიხეილ ქავთარაძე.

დეკანოზი რაფიელ ინგილო-ივანიცკი.

1966 წლის მარიამობისთვის ბოლო დღეებში, ვერსალის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა მადრიდის მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვარი, დეკანოზი რაფიელ-ინგილო, რომლის ცხედარი დასაფლავებულ იქმნა ლევილში ქართველთა სასაფლაოზე.

განსვენებული იყო ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე. ეროვ.-დემოკრ. პარტიის დაარსებიდგანვე მისი მთავარი კომიტეტის წევრი. იმავე დროს დამფუძნებელი კრების წევრიც. მონაწილეობდა საეკლესიო-სარწმუნოებრივ ასპარეზზედაც: იყო საკათალიკოსო საბჭოს წევრი და მისი მდივანი. ერთდროს რედაქტორობდა პარტიის მთავარ გაზეთ «საქართველო»-ს და შემდეგ პარტიისავე რუსულ გაზეთ «გრუზია»-ს.

საქართველოს რუსეთის მიერ დამარცხებისა და დაპყრობის შემდეგაც არ შეუჩერებია ეროვნულ-პოლიტიკური და იმავე დროს საეკლესიო ასპარეზზე მოქმედება. დატუსაღებულ იქმნა 1921 წელს და იმავე წლის ნოემბერში გადმოსახლებული იყო ეროვნულ-პოლიტიკურ მოღვაწეთა და მებრძოლთა ჯგუფთან ერთად გერმანიაში. აქედან ის გადავიდა რომში და ითვლებოდა რომის პაპის სასახლესთან საქ. ეკლესიის ქათალიკოსის ოფიციოზურ რწმუნებულად. იმავე დროს იტალიურ ჟურნალ-გაზეთებში ათავსებდა სტატიებს ქართულ პოლიტიკურ და საეკლესიო საკითხებზე.

სისტემატიურათ თანამშრომლობდა პარტიის ორგანო «სამშობლო» და «ივერია»-ში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადმობინავდა პარიზში, ეკურთხა მღვდლად, წავიდა ესპანეთში სადაც ბოლომდე იყო ადგილობრივ ბერძენთა და ქართველთა მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვარი. იმავე დროს თანამშრომლობდა ესპანეთის სახელმწიფო-რადიო-ტელევიზიის დაწესებულებაში და აწარმოებდა ეროვნულ-საეკლესიო ხასიათის გადაცემებს, საბჭოთა რუსეთის მიმართულებით.

ნ ი კ ო ლ ნ ა კ ა შ ი ძ ე

1966 წლის მაისის 22-ს მიუნხენში გარდაიცვალა ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე—ნიკოლ ნაკაშიძე, რომლის ცხედარი, თანახმად მისი წინასწარი სურვილისა, გადმოსვენებულ და დასაფლავებულ იქმნა საფრანგეთში, სოფ. ლევილში ქართველთა სასაფლაოზე.

განსვენებული იყო ახალგაზრდობიდანვე აქტიური წევრი საქ. ეროვ.-დემოკრატიული პარტიისა. მონაწილეობას იღებდა, როგორც ოფიცერი საქართველოს მიერ გადახდილ ყვე-

ლა თავდაცვითი ომებში. საქართველოს, რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ დაპატიმრებულ იქმნა ფარულ პოლიტიკური მუშაობისათვის და მოთავსებული მეტეხის ციხეში, საიდანაც გადმოსახლებულ იქმნა გერმანიაში ქართველ ეროვნულ-პოლიტიკურ მებრძოლთა ჯგუფთან ერთად.

განსვენებულს საზღვარგარეთაც არ შეუწყვეტია პოლიტიკური მუშაობა და მისი პარტიის რიგებში აქტ უურად მოღვაწეობდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, ქართულ სამხედრო ნაწილში იბრძოდა. ომის დამთავრების შემდეგ, ის ეროვნულ-პოლიტიკურ მოქმედების ასპარეზზე სჩანს. როგორც აქტიური მომუშავე-მოღვაწე. იყო დაკავშირებული პარტიის დასტურით და მონაწილეობდა A. B. N.-ის ორგანიზაციასთ.ნ, რომლის ღენერალურ მდივნად იქმნა არჩეული. სწერდა სტატიებს ამ ორგანიზაციის უცხო გამოცემებში და მონაწილეობას ღებულობდა, იმავე ორგანიზაციის თაოსნობით სხვადასხვა ქვეყნებში მოწყობილ, ანტი-კომუნისტურ, მსოფლიო კონფერენციაზე, სადაც შეუდრეკელად და უკომპრომისოდ იცავდა საქართველოს და მოითხოვდა ქართველი ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენას. ჭეშმარიტად, ის ღირსეულად ემსახურა მის სამშობლოსა და ერს და ჩვენი `ატივისცემისა და სიყვარულის გრძნობაც დაიმსახურა.

საჯაროდ მოხსენება

ამაწლის აპრილის 23-ს Musee Sociale-ის დარბაზში, ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობის მიერ მოწვეული, ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაციის წინაშე ბ ნ ელ. პატარიძემ წაიკითხა მოხსენება: «საბჭოთა პროპაგანდა ემიგრაციაში და ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური პოზიცია და მიზანი».

თანახმად საზოგადოების თავმჯდომარე ბ ნი გ. ყიფიანის სურვილისა, კრებას თავმჯდომარეობდა ბ ნი ვიქ. ნოზაძე.

მომხსენებელმა პასუხი გასცა «სამშობლოში დაბრუნებისათვის და თანამემამულეებთან კულტურული კავშირის კომიტეტის» ყოფილ ორგანოს «სამშობლოში დაბრუნებისათვის» და «უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოების» მიერ გამოცემულ ორგანოს «სამშობლოს ხმას», რომელთა ფურცლებზე, ათიოდე წლის განმავლობაში იბეჭდებოდა ამ საზოგადოებისა თუ კავშირის ყრილობების ანგარიშები თუ წერილები. მომართული ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაციისადმი. მისი დაშლისა და დანგრევის გარკვეულის მიზნით; საბჭოთა აგენტების, ამავე მიზნით, პროპაგანდა და მოქმედება. ათეული წლების მანძილზე; მოიგონა ქართული ემიგრაციის მიერ, ამ ხნის

განმავლობაში, ნაწარმოები ბრძოლები და პოლიტიკური მოქმედება, ეროვნული თავისუფლების მოპოებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელმაც აღიარა და ნათელჰყო, რომ ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაცია ისევ მხნეთა და ურყევათა სდგას მის ეროვნულ პოზიციებზე, მოქმედებს და იბრძვის სამფერი დროშის ქვეშ .სამშობლოს თავისუფლებისა და ეროვნული მეობისა და ღირსების აღდგენისათვის. დამსწრე.

შოთა რუსთაველის დღე

საფრანგეთში მყოფ ქართველ ემიგრანტთა სათვისტომოს და ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობათა მეთაურობით, გასული წლის ნოემბრის 20-ს, პარიზში (Salle ADYAR) გაიმართა, შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის აღსანიშნავად, საზეიმო დღე.

დღესასწაული გაიხსნა ეროვნული ჰიმნი—დიდებითა და მარსელიოზით, რომელიც შეასრულა ქართულმა გუნდმა.

საზეიმო სხდომა გახსნა მოკლე და სათანადო სიტყვით სათვისტომოს თავმჯდომარე—ბ-ნ ლევ.ზურაბიშვილმა, რის შემდეგაც ზეიმის საპატიო თავმჯდომარემ,—ყოფილი ეროვნული მთავრობის განათლების მინისტრ ბ-ნ ნოე ცინცაძემ წარმოსთქვა სიტყვა «ამ ზეიმის დანიშნულება».

რუსთველოგ ბ ნ ვიქტორ ნოზაძემ წაიკითხა მგოსნისადმი მიძღვნილი სიტყვა მეტად მხატვრული და შინაარსიანი.

აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტის პროფესორ გიორგი შარაშიძემ, წაიკითხა მოხსენება «რუსთაველი და ქართველი ერი».

წაკითხულ იქმნა ცნობილ მწერლის, ნეტარხსენებულ გრიგოლ რობაქიძის: «რუსთაველი როგორც მხატვარი».

წაკითხულ იქმნა: «რუსთაველის სოციალური და პოლიტიკური დოქტრინა» ბ-ნ ალ. მანველიშვილისა.

ბ-ნ ალ. შათირიშვილმა წაიკითხა: «ფსიქოლოგიური სინამდვილე ვეფხის ტყაოსანში», რომელსაც ავსებდა მისი მეუღლე პოემის შესატყვისი ადგილების ფრანგულად წიკითხვით.

შოთა რუსთველისადმი მიძღვნილი ლექსი წარმოსთქვა პოეტ—გიორგი ყიფიანმა, ევტიხი აბულაძემ და გიორგი წერეთელმა.

გამომცემლობა-რედაქციის მისამართი:
E. Pataridze
35, rue General Delestraint.
Paris (16)

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი-565